

**მთისპირელი სერგო ინჰჰირველი
ახალ გუბერნატორთან
შესხვედრას იტხოვს**



მიწა ვუთხრა, იმის გამო, რომ მხარს არ ვუჭერდი „ნაციონალურ მოძრაობას“, ღაფლიოდი ოპოზიციურ მიტინგებზე „სოციალური მომიხსნის“ მიხედვით, არც ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ მომხმარებელი და სოციალურმა ...



აბიჯი

ცოხოსი რეცეპორი „ცოხოსში“

ქიხნი, დაბადების დღე, ძეგლი, საქმიანი შეხვედრები... ეს ახის ახსნილი ჩამონათვალი იმ ღონისძიებების, ხომელი შესაძლებელია აქ განახლებულ ფაქტობრივ საბანკო დახმავსა და ინდივიდუალური უკუხმავში გამახმომო.

მიიხმავთ ქახილი და ევხმავი ეხმები, დაგემომნოთ განსაკუთრებულად გემომილი ხაქაქი.

ქ. ოვხმრგემი, აპაპის ქ. №29, ტელ: 599 695057; 599 404401



ახალი დონი

უგველესი გახეთი უახლესი ინფორმაციებით!

გახმეთი გამომლის 1931 წლის 5 იანვრით

სახოგადოებრივ-პოლიტიკური გახეთი. ყოველგვარი გამომხმავი. №20 (10110, 18 მაისი, 2015 წ. უახი 50 თმითი).

ნაციონალურმა ახლადინფორმაციული გუბერნატორის მიხედვით თამიანთი უარყოფითი პოზიციის დააფიქსირეს

ახალი გუბერნატორის თამამდებობაზე მოსვლის დღეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ოვხმრგეთის ორგანიზაციის ოფისში ოვხმრგეთისა და ღამწხუთის ორგანიზაციების თამამდებლობაზე დავით მყავანამქმ და კასა ასკურავამ პრიფინე გამართეს. თამამ გურიის ახლადინფორმაციული გუბერნატორის, ვია სალუქვაძეს შეესხვოდა.

დავით მყავანამქმ: სახოგადოებს შევასხმრებთ, რომ მოხმრგავდ უამრავი დაბრების, კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, არც ერთი წინასწარჩენი დაბრება არ შესრულბულა, არც ერთი ინფორმაცია არ განხორციელბულა, როგორც მოხმრგავდ ქვეყანაში, ასევე გურიის რეგიონში.

ყოველივე ამის ფონზე, ქვეყნის უფნარი მმართველმა, გურიის გუბერნატორის პოსტზე, ნაცვლად კრეატიულად მოახრგენე კადრისა, რომლის მიხმრგავდ იქნებოდა რეგიონში საინფორმაციო პროექტების, ინფრასტრუქტურისა და მხმრგავ სოციალური ფონის გაუმჯობესება. დანიშნა წარსულში პოლიციის ცემისათვის ნასამართლევი პირი, რომელიც ამ გაუმჯობესებელი, საყოველთაო ამისტიის შემდეგ იქნა გათავისუფლებული. **კასა ასკურავა:** „... ეს პირ-

დაბრი გადამწვეტილება იყო ბიძინა ივანიშვილის, რომ ვია სალუქვაძე დანიშნულიყო გურიის გუბერნატორად, უბრალოდ აქ შეამავალი არის ძალიან საინტერესო. ბატონი სალუქვაძის კანდიდატურა ბიძინა ივანიშვილს ვოგა ხანდრავამ შესთავაზა. ალბათ ამ ორ კაცს შორის ურთიერთგემომრი არ გავიგვრდებოთ, ვინაიდან ერთი, კარგად ცნობილი რეფესორია, ხოლო ახლადინფორმაციული გუბერნატორი-ახლადინფორმაციული რეფესორი. მე არ მასხმრგავდებოთ გუბერნატორი, ასეთი ნეგატიური ბეგრამდებით ჩამოსულიყო გურიაში. ეს არის სამწუხარო ფაქტი და ამ ფაქტს აუცილებლად ექნება გავლენა გურიის რეგიონის განვითარებაზე. მისი მრწამსი „ნაციონალური მოძრაობის“ და განსხვავებული აზრის დენაა. მე ერთ რამეს ვურჩევდი სალუქვაძეს, გურია „განწირულია“ მხოლოდ დემოკრატიული მმართველობისთვის და ნებისმიერი სახის წყწოლით, ძალიანბრივი მმართველობა გურიაში კრახით მოაგრდებოდა.“

გახმრგავდ „ალიონმა“ ნაციონალურების ბრიფინგის შემდეგ გუბერნატორის პრესამასხმრგავდის მიმართა. ნინო ღოზგარიას თქმით, გუბერნატორმა ამ თამამზე კომენტარი არ გააკეთა.

გურიის ახალი გუბერნატორი მუშაობას შეუდგა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 11 მაისის განკარგულებით გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორად ვია სალუქვაძე დაინიშნა. იგი გასულ ოთხშაბათს შეუდგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

გასულ პარასკევს, გურიის გუბერნატორი ვია სალუქვაძე, ახლადინფორმაციული პირველ მოადგილესთან, ქეთევან მოისწორაფეშვილთან ერთად რეგიონის ოთხივე მუნიცი-

პალიტეტის ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

რწმუნებულმა გუბერნატორმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ხედვები გააცნო და ვრცლად ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. ვია სალუქვაძემ განაცხადა, რომ შეხვედრები აუცილებლად გაგრძელდება მომავალშიც, სადაც განხილული იქნება

თითოეული ინიციატივა, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს რეგიონის განვითარების ხელშეწყობა.

„მინდა, რომ ჩვენი საქმიანობა იყოს შედეგზე ორიენტირებული. ვიყოს ოპერატიულები, რადგან გურიის მხარეს წინსვლა და წარმატება, რაც შეიძლება მოკლე დროში მოვუტანოთ. ეს იქნება ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, კულტურული თუ სხვა თვალსაზრისით“- აღნიშნა გუბერნატორმა.

ვია სალუქვაძემ ქ. ოვხმრგეთის, ოვხმრგეთის თემის, ღამწხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებისგან ინფორმაცია მოისმინა იმ მიმდინარე თუ დაგეგმილ სამუშაოებზე, რომელიც მუნიციპალიტეტებში სხვადსხვა სფეროში ხორციელდება. ასევე, შეხვედრისას განხილეს მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.



გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო კომპლექსის ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთიერი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორმაგად:
- საჯალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა:**
- ერთი თვით - 2 ლარი,**
- სამი თვით - 6 ლარი,**
- 6 თვით -12 ლარი,**
- ერთი წლით - 24 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კომპლექსი
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანი“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

საქველმოქმედო კონცერტი და გაცნობითი ხასიათის ვახუშაძე



11 მაისს ქალაქ ბათუმის ხელოვნების მუსიკალურ ცენტრში საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა. ღონისძიება თურქეთის საკონსულოს პატრონაჟით ჩატარდა და მიზნად საქველმოქმედო ფონდისთვის „კეთილსოფელი“ მხარდაჭერას ისახავდა. კონცერტში მონაწილეობა ქართველმა და თურქმა მომღერლებმა მიიღეს. ღონისძიებას ქალაქ ოზურგეთის მერი, ბეგლარ სიორიძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე კულტურის სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

კონცერტზე შემოსული თანხა საქველმოქმედო ფონდს „კეთილსოფელი“ გადაეცემა. აღნიშნული ფონდის მიერ უკვე დაწყებულია „სიკეთის სახლის“ მშენებლობა, სადაც 20-მდე ოჯახი დასახლდება, რომელსაც ერთი წვერი მაინც ჰყავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე. აქვე იქნება სარეაბილიტაციო ცენტრი და სახელოსნო ბენეფიციარების დასახმარებლად. ღონისძიების შემდეგ თურქეთის კონსულმა ქალაქ ოზურგეთის დელეგაცია მიიწვია ოფიციალურ ვახუშაძე, რომელსაც გაცნობითი ხასიათი ჰქონდა.

კონკურს-ფესტივალი მერიის სკოლაში გაიმართა



15 მაისს, დაბა ურეკის კულტურის სახლში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ფინალური შეხვედრა გაიმართა. კონკურს-ფესტივალი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის ორგანიზებით, საჯარო სკოლებს შორის ჩატარდა. ღონისძიებას ცენტრის დირექტორი ავთანდილ სირბილაშვილი უძღვევოდა. შეჯიბრების სამოტივაციო თემა იყო ისტორიული საქართველოს XI-XIX საუკუნეები, როგორც „ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა“. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში სამშობლოს სიყვარულის გაღვივება, ახალგაზრდების დაინტერესების გაზრდა „საუკუნეებს მიღმა საქართველოში“ და პატრიო-

ტული თვითშეგნების ამაღლება. ფინალში ერთმანეთს ნაროჯის საჯარო სკოლის გუნდი „ოპოი ნანა“ და მერიის „ლომეულები“ შეხვედნენ. გუნდის კაპიტნებმა შეკითხვები დაუსვეს ერთმანეთს XI-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ასევე, კონკურსის დევიზიდან - „ნუ დაივიწყებ წარსულს, ეს შენი ისტორია!“ - გამომდინარე, შესარულეს ისტორიულ-მხატვრული ნომრები. გამარჯვება მერიის საჯარო სკოლამ მოიპოვა. კონკურს-ფესტივალი საჯარო სკოლებს შორის 22 აპრილიდან დაიწყო და დღეს დასრულდა. გუნდები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და სამასოვო საჩუქრებით, ხოლო პირველ ადგილზე გასული გუნდი გაემზავრება ექსკურსიაზე.

„მერცხალა“ მატად მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო



ალიონი. ოზურგეთის „მერცხალა“ 15 მაისს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა. იგი პირველი ლიგის „პ“ ზონის გათამაშების ერთ-ერთი ლიდერს „გაგრას“ ხვდებოდა. ამ ზონაში თურგოლის „საპონელამ“ ვადაძე ადრე გაინაღდა ჩემპიონობა. პლეი-ოფში მოსახვედრად კიდევ სამი გუნდი „ბორჯომი“, „გაგრა“, და ქედის „ბეთლემი“ იბრძოდა. ამ ტურს უნდა გადაეწყვიტათ თუ ვის ჰქონდა შანსი მეორე საფეხურზე დაემკვიდრება ადგილი. ამიტომ გაგრელებმა ოზურგეთში ცვლადური იღონეს გამარჯვების მისაღწევად. მართალია, გაგრელები ხშირად უტყვევდნენ მასპინძლების კარს, მაგრამ ოზურგეთელების შეტევები თანდათან მწვავედებოდა და 55-ე წუთზე გიგა კვერენჩილაძის დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა. 1:0. ამის შემდეგ ოზურგეთელებს კიდევ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, მაგრამ სტუმართა კარის დარაჯი მოწოდების

სიმაღლეზე იდგა. „მერცხალა“ 3 ტულა მოიპოვა და სახიფათო ზონას დაშორდა. „გაგრას“ უშუალო მეტოქეთაგან, „ბორჯომმა“ გასვლით მატჩში „საპონელამ“ დამარცხა (0:2) და მეორე ადგილზე, ხოლო „მერცხალის“ „ახლო მეზობელმა“ ტყბულის „მემსტერ“ პლეი ოფში გასვლის კიდევ ერთ მაძიებელ ქედის „ბეთლემს“ 2:1 სძლია. წაღწევისის „სკური“ კი ხობში „კოლხეთთან“ 1:3 დამარცხდა. ოზურგეთის „მერცხალი“ ბოლო ტურის მატჩს ქედში, ადგილობრივ „ბეთლემთან“ გამართავს. „მერცხალი“ ამ ტურში შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდა: მარაძე, ქარჩილაძე, აფხაზა, ქურდაძე, ბაქრაძე, ჩიგოგიძე, უგრეხელიძე, ლლონტი (ჯოჯიშვილი), ჯაყელი (გუჯაბიძე), ჭვიაია, კვერენჩილაძე (ხამაშურიძე, ჩხარტიშვილი).

ქალაქ ფოთის ღია პირველობაში თავისუფალ ჭიდაობაში

ქ. ფოთში ჩატარდა ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც ქ. ოზურგეთის სასპორტო სკოლის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი) კარგად იასპარეხეს 38 და 50 კგ

წონით კატეგორიებში დავით შავაძემ და ნიკა აბულაძემ. მათ მხოლოდ ნახევარ-ფინალური შეხვედრები დათმეს უფრო გამოცდილ მოჭიდავეებთან და საბოლოოდ მე-3 საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.

„არწივების“ წარმატებები

8 მაისს, „ბ“ ლიგაში მოასპარეზე „არწივებმა“ ქუთაისის „აიას“ უმასპინძლა დამაჯერებლად, 25:7 სძლია. მომდევნო შეხვედრა 13 მაისს, ქ. ვანში გამართა და 10:12 დამარცხდა. 9 მაისს, ქ. ოზურგეთში სარაგბო ფესტივალი გაიმართა, რომელშიც 26 მუნიციპალიტეტის 40-მდე გუნდი მონაწილეობდა. საფესტივალო ტურნირი გაიმართა 2001-2002 წლებში დაბადებულითა შორის. ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა. ოზურგეთში ჩამოვიდნენ ქუთაისის, ტყბულის, წყალტუბოს, საჩხერის, ჭიათურის, ფოთის 2, ბათუმის

7 მარტვილის ლანჩხუთის, ჩოხატაურის და სხვა გუნდები. ოზურგეთელებს შეხვედრა ბათუმის „ბათუმთან“ მოუწია. მასინძლებმა 10 უპასუხო ლელო დაუდეს სტუმართა გუნდს. 15 მაისს, ქ. თბილისში „ა“ ლიგის დასავლეთ ზონაში გამარჯვებული ოზურგეთის „არწივები“ თბილისში, აღმოსავლეთ ზონაში გამარჯვებულ „ივერია-არმიას“ შეხვდა. საპასუხო შეხვედრა 23 მაისს, ქ. ოზურგეთში, ზვანის არენაზე გაიმართა.

წყალიო! – ახველები ქვედა ბასელებს

დახ, წყალიო! – ახველები უწყლობით ხანაგამშრალ ქვედა ბასელებს. დღეს უწყლობაზე დიდი პრობლემა ამ სოფელს ნამდვილად არ აქვს. იმის გამო, რომ წყალგაყვანილობის ქსელი ძველი და ამორტიზებულია, მოსახლეობის თითქმის ნახევარს წყალი საერთოდ არ მიეწოდება. სოფელში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის გონა შარაშენიძის თქმით, ბაზესა და ქვედა ბასეში მოსახლეობა იღებს მხოლოდ ტექნიკურ წყალს: „ბაზესა და ქვედა ბასეში მოსახლეობას მიეწოდება მდინარე

ნატანების ტექნიკური წყალი სოფელ ვაკიჯურიდან. ვინაიდან მიწები მწყობრიდან გამოსულია, ბაზეს სოფლის პროექტის თანხიდან ყოველწლიურად გამოიყოფა 3000 ლარი წერტილოვანი შეკეთებისთვის. შესაბამისი სამუშაოები წლებულსაც მიმდინარეობს. რაც შეეხება ქვედა ბაზეს უწყლოდ დარჩენილ უბნებს, აქ აუცილებელია სისტემის რეაბილიტაცია, რაც სოლიდურ თანხებით არის დაკავშირებული“, – ვითხრა გონა შარაშენიძემ. **მარიამ ნიკოლაიშვილი,** პრაქტიკანტი

ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის მორიგი აქცია


ქველმოქმედება უდიდესი მადლია. ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები ამ მადლით დიდი ხანია ცხოვრობენ. ოზურგეთში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი თამუნა ლომჯარიას ოჯახი ცხოვრობს. მისი მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი მძიმედ არის ავად, რასაც ზედ ოჯახის მარჩენალის, თამუნას დედის, ავადმყოფობაც დაერთო. გიორგის მუდმივად სჭირდება მედიკამენტები და

ექიმის მეთვალყურეობა, ბებიას კი ოპერაცია. კლუბის წევრები მოკრძალებული ნობათითა და საჩუქრებით ეწვევიან მათ. პატარა გიორგი მალევე გაახარა საჩუქრებმა. თამუნა კი ქალბატონების ყურადღებამ გაამხნევა და მომავლის იმედი მიეცა. **ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბი**

**დაიწყეთ ყოველი
ოჩნებათი აციონზე**
«ალიონით»

მთისპირელი სერგო ინჟინერი ახალ გუბერნატორთან შეხვედრას ითხოვს

მიწა ვუთხრა, იმის გამო, რომ მხარს არ ვუჭერდი „ნაციონალურ მოძრაობას“, დავდიოდი ოპოზიციურ მიტინგებზე, სოციალური მოძრაობის გამო, არც ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ მოხდა სოციალური



ალიონი „სოფელ მთისპირაში, ყველაზე დაშორებულ უბანში, უკანაგამი ვცხვოვარ. ოჯახში მე და დედა ვართ - 80

წლის სულიერი ინჟინერი. 58 წლის კაცი ვარ და ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს. ადრე მეფუტკრეობის გაერთიანებაში ეჭუშაობდი და მხარე მეფუტკრედ დრო რომ არაა, სოფელში საკუთარ მეურნეობას ვუვლიდი. თითქმის 2 ათეული წელი შეიქმნა არ მოგვეწოდებოდა. „კარალიოკივი“ ანათებდა თვითნაკეთი „ქესებიდან“ მიღებული ღვინით ნათურები. აბორიგენი მოსახლეობიდან 7 კომლიდა დავრჩით. დათმვა და მეგობრობა რომ აღარ დავვიტოვებ არც ძროხა, არც ღორი, არც თხა და ვანძობთობის პრობლემაც შეგვექნა, 2007 წელს სოციალურ სამსახურს მივმართე. დაბალი სარეიტინგო ქულა მომცეს და დახმარება

დამინიშნეს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემი ოპოზიციური შეხედულებები მაღვე აცნობეს სოციალურ სამსახურს და 2008 წელს დახმარება მომიხსნეს. მას შემდეგ რამდენჯერმე მივმართე სოციალურ სამსახურს, მაგრამ უშედეგოდ. ვინც ჩემს კარმდამოს ნახავს, აუცილებლად იკითხავს, ვიღებ თუ არა სოციალურ დახმარებას, მაგრამ... იმედიანდელ ხელისუფლებას ეს არ აწუხებდა. ბოლოს მიზეზად ის მინახეს, რომ დისშვილი დადიდა ჩემთან სტუმრად და ოჯახის წევრად ჩამთავლეს. 2011 წლის 6 ივნისს (№01-05/2881) სოციალური სამსახურის ოფისის განყოფილების უფროსის ოთარ რევიშვილისგან წერი-

ლობითი რჩევა მივიღე, მიმემართა სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი განყოფილებისათვის დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ის კი არა, ჩემი დის ოჯახსაც მიწვინდნ და მოუხსნეს დახმარება წყალტუბოს რაიონის სოფ. მალაკმა“ - ვთხოვს სერგო ინჟინერს, რომელიც ახალ გუბერნატორთან შეხვედრას ითხოვს. - რატომ არ მიმართე სოციალურ სამსახურს შემდეგ წლებში? - რა აზრი ჰქონდა. იფიქრე არ მიმდინრე? დღესაც მივედი სოციალურ სამსახურში. ხელი ამიქნეს და ასე მიპასუხეს: - თუ ჩვენი ნათქვამი არ მოუწონს, შეგიძლია სასამართლოს მიმართო, არც

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ მოხდა სოციალური ... არ მაშაყვება, მაგრამ ნახონ, ვინ ცხოვრობს სოფელში ჩემზე გაჭირვებულად... - გუბერნატორთან შეხვედრა რა იმედი გაძლევს? - მინდა ვუთხრა, იმის გამო, რომ მხარს არ ვუჭერდი „ნაციონალურ მოძრაობას“, დავდიოდი ოპოზიციურ მიტინგებზე (ვარ საქართველოს კონსერვატიული პარტიის წევრი), სოციალური მომსახურების მითვისის არ ჰქონდა მნიშვნელობა გლეხი ვიყავი თუ მოსამსახურე ვეყავი ანგარიშს ვეისწორებდნენ. მინდა პირადად აიყვანოს კონტროლზე ჩემი საქმე და სიმართლემ იხეიძოს.

ქალაქ ოზურგეთში საბილიარდო მოეწყობა და საცურაო აუზის აშენდება

10 მაისს ტელეკომპანია „იმედის“ ოქ-ში „იმედის კვირაში“ კრიტიკული სოუჟეტის გასვლის შემდეგ, ოზურგეთელთა ერთი ნაწილი იმეორებს სოუჟეტის ავტორის, კითხვას, ქალაქში, სადაც მძიმე სოციალური ფონია, რატომ უნდა იყოს საბილიარდოს მოწყობა პრიორიტეტული? მეორე ნაწილი კი სხვაანაირად სვამს საკითხს: თუ პრუსიის პრინცი ინფორმაციით (ქველი ჩხატარაშვილი „გურია უცხოელის თვალთ“), მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში, კერძოდ 1882 წელს ოზურგეთში კაზინო მოქმედებდა, რატომ უნდა გვიკვირდეს აქ ოცდამეორე საუკუნის მეორე ათწლეულში საბილიარდოს აშენება?!

სპორტის სახეობა და საბილიარდო ყველა ქალაქში უნდა ფუნქციონირებდეს. - ბილიარდი, ისევე როგორც ჭადრაკი და შაში, სამავლო სპორტის სახეობა და საბილიარდო ყველა ქალაქში უნდა არსებობდეს, მით უმეტეს, როცა ამას მოსახლეობა ითხოვს. არგუმენტაციისთვის შეგვიძლია, წარმოვადგინოთ მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მხრიდან ამ მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტაციები. რაც შეეხება იმას, რომ საკითხი ერთპიროვნულად გადაწყვიტეს, სინამდვილეს არ შეესაბამება. სიორიძის თქმით, საბილიარდო ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, კომისარიატის შენობის პირველ სართულზე უნდა მოეწყოს. მხად არის პროექტი და შესაბამისი სამშენებლო

სამუშაოებისთვის გამოყოფილია 47 ათასი ლარი. ქალაქის მერი ეთანხმება სოუჟეტის ავტორს, რომ აუცილებელია ქალაქს ჰქონდეს საცურაო აუზი. - აბსოლუტურად ვეთანხმები სოუჟეტის ავტორს, რომ ქალაქისთვის აუცილებელია საცურაო აუზი, მაგრამ, ისიც ხომ ცხადია, რომ საამისოდ 47 ათასი ლარი ზღვაში წვეთია მხოლოდ. სხვათა შორის, ამ საკითხის მოგვარებისთვის ზრუნვა ქალაქის მერიამ შარშან, თავისი უფლებამოსილების განხორციელების დებუტტზე დაიწყო. თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ საქართველოს რეიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2013 წელს მოამზადა რეგიონების 2014-2021 წლების განვითარების ინდივიდუალური სტრატე-

გიები, რომელიც 2013 წლის სექტემბერში დამტკიცა საქართველოს მთავრობამ. აქედან გამომდინარე, 2015-2017 წლებში ქალაქ ოზურგეთში იგეგმება მრავალპროფილიანი ერთდარბაზიანი სპორტის სასახლისა და 25-მეტრიანი საცურაო აუზის (კომპლექსის) მშენებლობა. სპორტის სასახლისთვის ქალაქის ტერიტორიაზე უკვე გამოყოფილია 2,5 ჰა, ხოლო საცურაო აუზისთვის - 0,8 ჰა მიწის ნაკვეთები. აქვე, ამ შენობის გვერდით უკვე დამთავრდა საკმაოდ მასშტაბური სპორტული კომპლექსის მშენებლობა. საზღვრის ექსპერტიზის ბიუროდან დასკვნის მიღების შემთხვევაში, ამ იდეის განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგება. ამასობაში, პრაქტიკულად შეფუდებით ახალი საცურაო აუზის მშენებლობასაც, - აღნიშნა ქალაქის მერმა.

შესაძლებელია, გადაინაცვლოს ამ სპორტული კომპლექსის მეორე სართულზე. პირველ სართულზე კი განთავსდება კრივისა და სპორტის სხვა სახეობის სექციები. აქვე იმუშავებს მცირე საცურაო აუზიც. თუ ასე მოხდა, იმ 47 ათას ლარს აღარ დავგარჯავთ და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტის მოსაწყისრებლად გამოვიყენებთ. მართალია, ეს ყველაფერი ვერაფრით იდეის დონეზეა, მაგრამ საზღვრის ექსპერტიზის ბიუროდან დასკვნის მიღების შემთხვევაში, ამ იდეის განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგება. ამასობაში, პრაქტიკულად შეფუდებით ახალი საცურაო აუზის მშენებლობასაც, - აღნიშნა ქალაქის მერმა.

რატომ იღებს ზოგიერთი დეპუტატი ტყუილად თანხებს და რატომ უნდა გააქტიურდეს საკრებულოს კომისიები გაკონტროლებულთან ურთიერთობაში?



ალიონი. დეპუტატებზე ტყუილად თანხების გაკემის თემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერელიძემ გასულ პარასკევს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გააჟღერა. ბიუროს სხდომაზე საკრებულოს ფრაქციების და კომისიების თავმჯდომარეების ანგარიშებს ისმენდნენ, თუცა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მიხეილ გოგოტიშვილის ანგარიში ვერ მოისმინეს იმ მოტივით, რომ გოგოტიშვილი ბიუროს სხდომაზე არ გამოცხადდა, შემდგომ თავად გოგოტიშვილმა საკრებულოს სხდომაზე არ გამოცხადება ვანძობთობის მდგომარეობით ახსნა. პირველ საკითხად ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის გონა კილაძის ანგარიში მოისმინეს. გონა კილაძემ ფრაქციის დამსახ-

ურებად აღნიშნა, შეეცვალათ მუნიციპალიტეტში მოქმედი წესი საკრებულოს წევრის მოვალეობის შემსრულებელთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ. მთ უარი თქვეს მიეღოთ თანამდებობის პირებს თვეში 500 ლარის ოდენობით, სამაგიეროდ სოფლის დეპუტატების ხარჯი გახადეს 500 ლარი ყოველგვარი დაქვითვის გარეშე. გონა კილაძემ ასევე „ქართული ოცნების“ დამსახურებად აღნიშნა საჯარო სამსახურებში კონკურსის საფუძველზე კადრების დანიშვნა. - გადახედეთ, რა ხალხი მივიღეთ სამსახურში. შეიძლება „ქართული ოცნებისთვის“ არ იჭრიდნენ ვენებს, მაგრამ ჩვენ პოლიტიკური ნიშნით არ შეგვიჩრჩევია კადრები - დააკომენტარა დიმიტრი კვერელიძემ. გონა კილაძემ ასევე გააჟღერა მათი ფრაქციის მიერ ინიცირებული ზოგადი

განათლების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მოცულობა შეადგენს 50 000 ლარს. ამ თანხით დაფინანსდებიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც ეროვნულ გამოცდებზე მიიღებენ 100 პროცენტთან გრანტს. კონკრეტულად, თითოეულ ასეთ სტუდენტზე გაიკემ 3000 ლარი, ხოლო 1000 ლარით დასაწყობდება ის სკოლა, რომელმაც ასეთი ახალგაზრდის აღზრდას შეუწყო ხელი. ფრაქციის გადაწყვეტილებით, სოციალურად ნაკლებდაცული მოსახლეობის დახმარების მიზნით ერთ-ერთად სოციალური დახმარების პაკეტი 100-დან 150 ლარამდე გაიზარდა. ასევე მათი ინიციატივით უარი თქვეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი წესით გასხვისებაზე. როგორც იჯარით გაცემის, ისე გაყიდვების დროს იყენებენ აუქციონის წესს. - ინიციატივებიან, სამაგიერ ფრაქციაა, უნდა გააქტიურდეს მკონტროლებლებთან ურთიერთობები - აღნიშნა კვერელიძემ. ხანგრძლივი განხილვის თემა იყო მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გელა ჩაველეშვილის ანგარიში. დებატები გაიმართა ა(ა) იპ „მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის“ საქმიანობის დეტალური განხილვისას. ჩაველეშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრი ამჟამად ორი ნაგავზიდვით 262 ბუნკერს ემსახურება, რომლებზეც საწვავის მიწოდება ხდება აგ.ს-ის სისტემით (რომელიც კონტროლირდება ელექტრონულად), ხოლო ნაგავზიდვების საწვავის ხარჯვა დამოწმებულია „სამსახ-

რულის“ ექსპერტიზის მიერ. მაისის ბოლოს დამატებით 350 ბუნკერს და სამ ნაგავზიდვის მიიღებენ, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯების გაზრდას. - წინა ხელისუფლების დროს ბევრი კითხვის ნიშნები იყო ამ აიპის მუშაობისას. ახლა აქ თანხების ხარჯვა უფრო გამჭვირვალე გახდა. წლის დასაწყისში გამოცხადებულ ტენდერით აიპმა 1 ლარსა და 70 თეთრში შეიძინა წლის სამთავრო საწვავის მარაგი - განაცხადა გელა ჩაველეშვილმა. - მთავარია ტენდერი, უფრო იფიქრება - აღნიშნა საია-ს ოზურგეთის ოფისის უფროსმა თამარ ტრაპაიძემ. - თუ ყველა აიპი ასე მოიქცევა და წლის დასაწყისში გადაიხდის ყველა ხარჯს, მივიღებთ ბიუჯეტის დეფიციტს. ბიუჯეტი დროში გაწურული უნდა იყოს. მით უმეტეს წლიურად თითქმის 1,5 მილიონ ლარს ვხარჯავთ დასუფთავებაზე. - თქვა დიმიტრი კვერელიძემ. - არის ადგილები მაგნიტუმში, რომლებსაც დასუფთავების სამსახური ემსახურება და ობიექტების ხელმძღვანელები მათი სასტუმროს ბონადრების გარედა სხვა დამსვენებლებს არ უშვებენ - თქვა ტრაპაიძემ. გარე განათების ანყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების განხილვისას დიმიტრი კვერელიძემ აღნიშნა, მუნიციპალიტეტმა უნდა მოახდინოს ყველაფრის პრივატიზება, ამ სამსახურების განკერძოება, რომლის შემდეგ მომსახურება უფრო ადვილი იქნება. აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ (შოთა ართმელაძე)

აღდგენილი ბუნებრივი რესურსების მართვის, პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე წარმოადგინა ანგარიში. - წლების მანძილზე „ნაღები ახადეს“ ოზურგეთის საპრივატიზაციო ობიექტებს. თუ როგორ მიმდინარეობდა იგი თუნდაც 5 წლის წინათ კარგად იცით და ისე ჩინოფიკები ყიდულობდნენ ამ ობიექტებს. „ვაი ოზურგეთელების“ მიერ ჩატარებულმა პრივატიზაციამ (ასე ხდებოდა სხვაგანაც) შეაფერხა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. კაპიტალს გაიყვანა ურეკი; ლაითურში, სხვა მეურნეობებში მოსახლეობამ 0,4 ჰექტარი მიწის ფართობი თუ მიიღო. „მარტინ ბაურმა“ და სხვა ფირმა 1,75 თეთრად შეიძინეს ასეულობით ჰექტარი მიწა. ადგილობრივი მოსახლეობა უფროს წლებში გავერანებულ ფართობებს. ახლა კი ეს ფირმები მოსახლეობას მისუელ პირობებს უყენებენ. ეს თემა უნდა მოგვარდეს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ძალიან ცუდად იქცევა საჯარო რეესტრი. ისინი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებენ - თავისი კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა დიმიტრი კვერელიძემ. სამანდატო, საპროცედურო, თურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიშის განხილვისას (ეროდი გორელაძე) ვაიფეთ, რომ საჯარაულოდ საკრებულოს წევრობიდან გასულ ზაზა გობრონიძეს თანაპარტიული ბიძინა ლომჯარია ჩანაცვლებს. საკრებულოს ბიუროს სხდომა სხვა კომისიების მუშაობის ანგარიშები მოისმინა.

მუზეუმების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა



ალიონი. მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ჩატარდა ღია გაკვეთილების კვირული, რომელშიც ოზურგეთის სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

გასულ სეზონში, წმ. ნინოს სახელობის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ მუზეუმს. მუზეუმის მეცნიერ მუშაკმა მანანა მემარნიშვილმა მათ გურამი ფირალური მობრძობაზე ესაუბრა და ირაკლი მასარაძის ფილმი „გურული ფირალები“ აჩვენა.

გამართა ისტორიკოსი ენვერ გოგუაძის ნაშრომ „ფირალების“ პრეზენტაცია. აღნიშნული ნაშრომი ავტორმა 2002-2003 წლებში შექმნა და მისი გამოქვეყნება მკვლევარის სიკვდილამ შეაფერხა.

აღნიშნული ნაშრომი 2014 წლის დეკემბრიდან ქვეყნდება გაზეთ „ალიონში“. ამ ნაშრომებს სარედაქციოდ ამზადებს მუზეუმის მეცნიერ მუშაკი მანანა მემარნიშვილი, რომელიც წლების მანძილზე აგროვებდა და ინახავდა ენვერ გოგუაძის ნაშრომებს.

მოსწავლეებს გადაეცათ გაზეთ „ალიონის“ ნომრები და ენვერ გოგუაძის წიგნი „ხალხის ქომაგი ვოვა ლლონტი.“ (1991 წ.).

ამ ნაშრომის შექმნის შესახებ ისაუბრა წიგნის რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა.

— წიგნის შექმნის იდეა განაპირობა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუხტმა და 1923 წლის

თებერვალში ვოვა ლლონტის რაზმის მიერ ოზურგეთში, ექვლია-ლიხაური-ანას-ეულის ვაგაგასყარზე ბოლშევიკთა სადამსჯელო რაზმის მეთაურის, სასა ობოლადის და მისი დამკავშირების მიმართ განხორციელებულმა თავდასხმამ.

საშუალო სკოლის, დათოვ ნუბინიშვილის, პოლიპარპე სანიკიძის სიკვდილის შემდეგ ოზურგეთის მასრაში დაიწყო „წითელი ტერორი“. საგანგებო კომისიამ დახვრიტა ათეულობით ადამიანი. ჩვენამდე ოზურგეთის ციხიდან გამოიყვანა უდანამართლო პატიმარები და ობოლადის თავდასხმის ადგილას დახვრიტა.

ეს თემა 1990 წელს წამოიწია. ნინო თოიძის საზოგადოებამ სთხოვა ენვერ გოგუაძეს, რომელიც იმ დროს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიაზე აქვეყნებდა წერილებს, 1923 წელს ბოლშევიკების სადამსჯელო ოპერაციაზე მოეხდებინა სტატია. ენვერმა დიდი გულმოძღვრებით იმუშავა და გაზეთ „ლეზორს“ (გამოდიოდა 1990-93 წწ.) ვრცელი ნაშრომი მოაწვია. გაზეთის იმ ნომერში მოხდა ინტერვიუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთან ზვიად გამსახურდიასთან, ამიტომ „ლეზორსი“ ის ნომერი მას მიასწავდა. ზვიადს იმდენად მოეწონა ეს წერილი, რომ უზუნაესი საბჭოს არჩევნების წინ ოზურგეთში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე ვოვა ლლონტის ძეგლის დადგმის ინიციატივაც კი გამოვიდა.

ეროვნული ძალების ხელისუფლე-

ბაში მოსვლის შემდეგ, 1923 წლის რევრესიების ადგილზე ძეგლის დადგმის თემა აქტუალური გახდა. ამისთვის საჭირო თანხის მოძიება იყო საჭირო. შეიქმნა ვოვა ლლონტის საზოგადოება (თავმჯდომარე ომარ ქართველიშვილი). ენვერ გოგუაძეს თხოვეს დამატებითი მასალები მოეძებნა და ნაშრომი წინადა გამოგვეცა, რათა წიგნის გაყიდვით მიღებული თანხით კი ლიხაურის დასაწესში მასობრივი დახვრეტის ადგილი შემოგვევლინა და რევრესიების მსხვერპლთა მემორიალი მოგვეწყო.

საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩავატარეთ. პროფესორი ვიზო ჭვლიძე, ამ სტრუქტურის ავტორი ისტორიკოსის ვეზ-მარტოვილი საარქივო მასალების მოპოვებაში. ენვერმა ფაქტებით გაამართლებული ნაშრომი მოაწვია. გადაწყვიტა, რომ წიგნში ერთად კალენდარიც გამოგვეშვა. (ამ საქმეში გამოძევებულმა „სამშობლოს“ მთავარი მხატვარი, ლიხაური მურმან ჭანიშვილი გვეხმარებოდა). წიგნი გამოძევებულმა „მარინში“ უნდა დაგვებეჭდა. გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები. წინასწარ გადავიხადეთ საგამომცემლო თანხები. კალენდარი (50 000 ტირაჟით) 1991 წლის 24 დეკემბერს გამოვიტანეთ გამოძევებულნი. იგი „საქართველოს“ საშუალებით უნდა გავრცელებულიყო და რუსთაველზე, მთავარ ოფისში ჩავაბარეთ... იმ დღეს სამოქალაქო ომი დაიწყო კალენდარის ტირაჟის 95 პროცენტი ფოსტის



ხალხის ქომაგი ვოვა ლლონტი

შენობასთან ერთად დაიწყო.

რაც შეეხება წიგნს „ხალხის ქომაგი ვოვა ლლონტი“ 12 000 ცალი დაიბეჭდა. სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში წიგნისთვის არავის ეცალა.

დარჩა განუხორციელებელი იდეა. დღეს ლიხაურის დასაწესში უბატონოდა ბოლშევიკების მასობრივი რევრესიების მსხვერპლთა ადგილი (ასეთი ადგილები ქალაქის სხვა უბნებშიც იყო).

სამწუხაროდ, ნიჭიერი ისტორიკოსის, ენვერ გოგუაძის გარდაცვალებამ მის მიერ 2002-2003 წლებში შექმნილი ნაშრომების გამოცემა შეაჩერა.

ამჟამად გაზეთი „ალიონი“ ენვერ გოგუაძის ცვლად გამოუცემელი ნაშრომის გამოქვეყნებას გეგმავს...

მოსწავლეებთან ღია გვეხეთქის დასკვნითი ეტაპი მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაგრძელდა.

ჩვენ გვყვარენ

ან სიბნელის მოციქულები არიან, ან მონტენსკიე წაუპიტხავთ და ვერ გაუბიათ

როცა 30 აპრილს ტელევიზიულ „პროფილში“ დავინახე კანდიტ ჩარკვიანის ვაჟი გელა, მოულოდნელობისაგან დამავიწყდა, გადამერთო სხვა არსზე, თუცა, არ ვნანობ, ვინაიდან ისეთი ამბავი გაიფიქრა, ვერ მოვისვენებ, სანამ არ გავუზიარებ საზოგადოებას.

სრულებით არ გამკვირვებია, როცა მან სააკაშვილის ნიჭიერებაზე დაიწყო საუბარი, მაგრამ როცა თქვა, რომ ეს უკანასკნელი თურმე 15 წლის ასაკიდან მონტენსკიეს შემოქმედებით არის გატაცებული, უკაცრავად, მაგრამ ამას უკვე თავხეობა ჰქვია...

როცა ამოიღე „ბლევი“ ვაშლიანდა ისეთ უადგილო ადგილზე, როგორც „პროფილი“, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება, ანუ ხმები და ეჭვები „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე გამართლებულია, გაკვირვებას იწვევს მხოლოდ პრიმიტიულობა...

როცა „კანდიტოვიჩი“ (რომელმაც, თავის ოჯახის წევრებითურთ, კომუნისტური კანდიტ ჩარკვიანის პატიოსანი სახელი მაქსიმალურად გამოიყენა თავის საკეთილდღეოდ, ახლა კი გამოვლინებული უმსგავსოებით საფლავში ატრიალებს) ასწავლებს ისეთ გიგანტს, როგორცაა მონტენსკიე და „კანონების სულიერებას“ და „სპარსულ წერილებს“ აიგივებს ისეთ პოლიტიკურ კინტოსთან, როგორცაა სააკაშვილი, ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს ქართველი ხალხის და საქართველოს გასულელების მცდელობას, აბუჩად ავადებას.

დავინტერესდი და გადავხედე საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე 100 წლით ადრე დაბადებული მონტენსკიეს ბიოგრაფიას და შემოქმედებას. მისმა კანონებმა დაიქონია კაცობრიობა ფეხზე დააყენა, საფუძველი შეუქმნა ახალ პოლიტიკურ კულტურას. დღევანდელი გადასახედი-

დან მისი გენიალურობა არამარტო დახვეწილ კანონებში, არამედ წინასწარმეტყველებაშია, რომელიც შემდეგნაირად აფრთხილებს სააკაშვილებს და მის მსგავს პოლიტიკანებს: „მოწინავე და მაღალი ზნეობის ლიდერი ყოველთვის ზრუნავს თავისი სამშობლოს დიდებაზე, რაც უნდა გამოიხატებოდეს ქვეყნის მოსახლეობის თავისუფლება-კეთილდღეობაში, ან მცირდება მათი არარსებობის გამო, ვინაიდან დიდება არ შეიძლება იყოს მონობის თანამგზავრი“.

ან კიდევ, „არსებობს ორნარი გახრწნილება, პირველი — როცა ხალხი არ ასრულებს ქვეყნის კანონიერებას, მეორე — როცა თავად კანონი ხელს უწყობს ხალხის გახრწნას. ეს უკანასკნელი მოურჩენელია, ვინაიდან მიზეზი თავად წამალშია“ და ა. შ.

ჩარკვიანს რომ ერთხელ მაინც ჰქონდეს თვალი გადანაკლები მონტენსკიეს შემოქმედებისათვის, ასეთ რამეს არ იტყვია, ვინაიდან ყველა ნორმალური ადამიანი ხომ ხედავდა, სააკაშვილი თავისი მართვა-გამგეობით ისე შორს იყო მონტენსკიეს შემოქმედებიდან, როგორც მარსი დედამიწიდან?!

ფართო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად რომ მსგავს ღმგობებს არ დაეთმოთ ტრიბუნა, აუცილებლობად მიმანია ისეთმა რეიტინგულმა ტელეკარნამ, როგორცაა „ობიექტივი“ მონწივოს მონტენსკიეს შემოქმედების მცოდნე, აიღოს ის 30 აპრილის „პროფილის“ ნაბოღვარი (უკაცრავად) და სახალხოდ დაუმტკიცოს ჩარკვიანს და მისწავლებს, რომ ისინი ან სიბნელის მოციქულები არიან, ან წაუკითხავთ მონტენსკიეს შემოქმედება, მაგრამ ვერ გაუვითა...

ბრამიტო (გერმანე) მაინაშვილი
ქ. ოზურგეთი.

რეაბილიტირებულნი

იასონ ბეჟუპის ძე ჭიჭიშვილი

„რავინ ვიპოვე ახლა კიდე ამ სიშორეში“ — ამ სიტყვებისთვის სოფელ გურიანთაში იასონ ბეჟუპის ძე ჭიჭიშვილი 1937 წელს უზრო უზრ ბზას ბაუყენის ურალში ამოაყრივნენ თავი.



იასონ ჭიჭიშვილი თავისი გვარის უბეჭლეი საცხოვრისიდან — ასკანიდან ძირითად ოჯახს გამოყოფა და სოფელ გურიანთაში დაფუძნებულა. ჭიჭიშვილები, ზოგადდ, მუყათი, გამრევე, მშვიდი და მტკიცე ნებისყოფის ხალხია. იასონიც კარგი მურწე და შეძლებული მურწე კაცი ყოფილა. ვერ კიდევ იმ პერიოდში აუფა ისეთი ოჯახის, როგორსაც შემდეგ საბჭოთა პერიოდში აშენებდნენ სოფლად. ორი წველი კამტი ჰყოლია და ორი კარგად გაწყობილი ურეხი ჰქონია, რომლითაც, სამი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად ეზიდებოდა თურმე ჩაქვიან გურიანთაში ტუნების და ჩაის ნერგებს. ერთ ადრთან დღეს, ჩაქვიან ჩამოსულს, ნაშუადღევს კამტებისთვის აქურები შეუსწნა, სწორედ ამ დროს დადგომან თავზე, კამტები შეაბი და ერთი გზა დღესვე კიდევ გააკეთო. დაღლილ-დაქანცულ იასონს გაკვირვება და ჩუღლაპარაკია „რავერ წვედე ახლა კიდე ამ სიშორეში?“ მერე მაინც წასულა და შე-

ადამი დაბრუნებულა ნერგებით.

„მეზობელი კარისაო, სინაილე ხარ თვალისაო“, — არ დარჩა ასეთი ერთ-ერთი მეზობელი, დასამინა მეურმე და... საქართველოს სსრ შინსაკომთან არსებული საქულის 1937 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის (ავიტაცია ან პროზაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) საფუძველზე, იასონ ჭიჭიშვილს მიესჯა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით. გადასახლეს ურალში.

4-5- წლის შემდეგ მოვიდა შეტყობინება, რომ მდინარეზე გადასვლისას ციწული ჩასკდა და იასონი ჩაიტანა...

გურიანთაში მისი თქმით, ჩამწველი მეზობელი ისე გარდაიცვალა, რომ არავერი დარჩენია ამ ქვეყნად, რაც შეეხება იასონის შთამომავლებს, მათი რაოდენობა დღეს 60 ადამიანს აღემატება.

იასონ ბეჟუპის ძე ჭიჭიშვილი რეაბილიტირებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1959 წლის №23 განჩინებით.

მუღამ შემოკლებით წარმოსთქვამდა ხოლმე.

— გაემარჯვოს კვატ... შალვა! — უაბსუხა ლექტორმა.

XXX

სტუდენტობაში, მკაცრად დაპირისპირებული ორი სტუდენტი ერთმანეთს რომ ეკამათებოდა, ერთმა მთავანმა თანაკურსელმა, მოდავეთა შორის უფრო მართლსაღებო დაუჭირა მხარი და დისკუსიაში ჩაება.

— რას ეჩხრები, ბავო, ჩვენს საქმეში, უშინდავ გაყარკვეთ საკითხს! — დაუყვირა მას ერთ-ერთმა მოკამათემ.

— მაი, ძამა, საჩხერიდანა და რეიხა გივირის, სხვის საქმეში რომ ეჩხრება? — ღმილით ჰკითხა იქვე დასწრე გურულმა სტუდენტმა.

როლანდ თაყაამ

გურიელი იმამხვირობის ნამდვილი ცხოვრებისეული ანეკდოტები

XXX

მოხუც გურულს ჰკითხა ამხანაგმა, რას საქმანობ, თუ მუშაობ სადმე.

— ჰქნისთერო ვარ უკვე და ვინა მამუშაებს. თანაც, ამ ჩემი პენსიის გამო, უმძიმესი პრობლემა შექმნა.

— რა პრობლემა, კონომიკური?

— არა, ძამა, რამე დავხარჯო ამდენი ფული, იმზე ვფიქრობ სულ!

XXX

გურული ერთ-ერთ თანასოფელელ მეგობართან ხშირად დადიოდა სტუმრად, რადგანაც მისთან საუბარი ძალიან უყვარდა.

როცა შეხვედრას დაამთავრებდნენ და წამოვიდნენ, მასპინძელი დიდი მოწინააღმდეგეობით ხოლმე ჭიჭიშვილს მაცდილებდა ხოლმე ჭიჭიშვილს.

— რეიხა წუხლები, ბავო! რათ მინდა

ჭიჭიშვილს გამოეცინებოდა? — ჰკითხა ერთხელ გურულმა მასპინძელს.

— რაა, ძამა, იცი? მეზობლები თუ დენანაყენ, რომ არ გამოგაკვლე, ჩათვლიან, რომ შენ სათანადო პატივს არ გცემ.

— არა, მე მტონია, სულ სხვა მიზეზი გაქვს საამისოდ.

— მაინც რა? — დაინტერესდა მასპინძელი.

— რაი და, ჭიჭიშვილ ალბათ იმდენი მომეყენა, რომ დარწმუნდეს, ნამდვილად წავედი თუ არა! — გაიმსყარა გურულმა.

XXX

— გამარჯობა, ბავო! — მიესალმა უნივერსიტეტის ლექტორს ერთ-ერთი მეგობარი სტუდენტი, რომელიც სიტყვა „პატიონი“

ლამარა სიმონიშვილი

საოცრად თბილი, მოსიყვარულე, დასაყრდენი ადამიანი და მისაბაძი ჟურნალისტი



დარდს, დიდ ტკივილს, რომელსაც გულით ატარებდა, თავს არავის არ მოახვედდა, იგი საზოგადოებაში აღიქმებოდა, როგორც უდრეკი, შეუპოვარი, ავტორიტეტული და ენერგიული ქალბატონი, სინამდვილეში მეტად გულჩველი და თანამგრძობი გახლდათ, მან მიუღიოდა თავისი შეგნებული ცხოვრება დისშვილებს მიუხედავად, მათ ბედნიერებაზე ოცნებობდა. მათი ცხოვრებით ცხოვრობდა, მათი სიკეთით ხარობდა...

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მისი მეორე ოჯახი იყო, სალიონში“ მისვლის დღიდან შეისისხლხორცა მისი სისარული და ტკივილი, 90-იანი წლებიდან რედაქციას პრობლემები მოუპარავდა, რატომღაც ჩვენი საზოგადოებისათვის საყვარელი გაზეთი, ზოგიერთებისათვის მოუღებელი და მიკერძოებული აღმოჩნდა, მსოფლმხედველობას უწუნებდნენ და გაჩაღდა ჩუმი და დამაგრეველი ომი რედაქციის მიმართ, საწმენდო, ეს დღემდე გრძელდება, დაუსრულებელი ბრალდებები, ბრძოლა სიმართლის დამტკიცებისათვის, რედაქციის სხვა თანამშრომლებთან ერთად, ქალბატონ ლამარა სიმონიშვილსაც უწევდა, იგი თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა რედაქცია შეკრული და ერთიანი ყოფილიყო, რადგან კარგად ესმოდა ძალი ერთობის მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი რედაქციაში მისვლა დამთავრდა მწლებიდან პერიოდს, იყო მრავალი პრობლემა განსვლელი იყო გაზეთის გამოშვება, იყო ხელისშემშლელი პრობლემები, არ იყო შუქი, რედაქცია გაკოტრდა, გაიქურდა, ძნელად იშოვებოდა ქაღალდი, ფოლგა, იყო შემცირებული ტირაჟი შემცირებული გვერდებით, მაგრამ „ალიონი“ თავის სათქმელს მაინც ამბობდა, ამასი გარკვეული წელი ლამარა სიმონიშვილზეც მოდიოდა, სისარული და ბედნიერება მოჰქონდა თითოეული ნომრის გამოშვებას, რადგან თითოეული ჩვენგანი დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით ჩვენი ერთგული მკითხველების მიმართ.

მასწავლა მორიგეობა სტამბაში, მე და ლამარა ვმორიგობდით, ვმუშაობდით გაზეთზე, სანახევროდ საქმე იყო დამთავრებული, როცა შუქი ჩაქრა, შუქის მოსვლას საათობით ველოდით,

ჩვენთან ერთად იყო მთელი სტამბის თანამშრომლები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები შორეული სოფლიდან იყვნენ, არც ერთ მათგანს არ დაეუტოვებიათ, ჩვენთან ერთად იყვნენ ბოლომდე, გაზეთზე მუშაობა გვიან ღამით დავასრულებთ, მიუხედავად დაღლილობისა, მაინც კმაყოფილები ვიყავით, რომ გაზეთის მორიგი ნომერი გამოვიყვანეთ. ასეთი შემთხვევა მრავლად გვქონდა, სტამბის თითოეულ თანამშრომელს პატივისცემა და რიდი ჰქონდათ ქალბატონი ლამარას, ერთს არ დაიწუნებდნენ, მოკრძალებით ითვალისწინებდნენ მის თითოეულ შენიშვნას, რადგან თავისი უბრალოებით გამორჩეული პიროვნება პატივისცემას იმსახურებდა გარეშე მყოფთაგან, იგი უმურველად გასცემდა ცოდნას, სიტბოს და სიყვარულს. პატივს სცემდა და ემხრობოდა ახალგაზრდა ჟურნალისტებს, არასოდეს ეზარებოდა, ამ თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დარიგება მიეცა მათთვის. ჩვენ მის მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით... გვეიმედებოდა მისი.

ლამარა სიმონიშვილის ჟურნალისტური საქმიანობა ჟანრობრივად მრავალფეროვანი არ იყო, იგი ძირითადად სოფლის მეურნეობის განყოფილებას სურბირებდა და ამ განხრით ამზადებდა მასალებს, სწორი შეფასება, უტყუარი აზლო და ხალასი ჟურნალისტური ნიჭი იკვეთებოდა თითოეული მისი წერილიდან.

ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მისი გარდაცვალება, მაგრამ უადრესად მწუხარება გაგვაცდევინა არამარტო აღიონებებს, არამედ საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს.

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ლამარა სიმონიშვილი ჩვენთვის დარჩება როგორც საოცრად თბილი, მოსიყვარულე, დასაყრდენი ადამიანი და მისაბაძი ჟურნალისტი, რომელმაც თავისი მრავალწლიანი მღვაწეობით კვალი ნათელი დატოვა.

ამ პატარა გახსენებით მინდა მოვეფერო მის სულს, მაღალი ზნობის და სპეტაკი სულის ადამიანს, რომლის განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითოა თაობებისათვის.

6060 სალუქვაძე.

იუბილე

ოზურბაძის გუნდისა და ჯანდაცვის სამსახურის სახარო სკოლის ყოფილ დირექტორსა და ღვაწლმოსილ პედაგოგს, ბატონ იაკობ ბოლქვაძეს



ბატონო იაკობ! დღეს საოცარი დღეა, აღსავსე წრფელი და ამბულეული გრძნობებით, ემოციებით, სიყვარულის წილ სიყვარულის, სიკეთის წილ სიკეთის მიგებისა; დღე თქვენი ლამაზი ნაღვაწის აღიარებისა.

თქვენ ათეული წლების მანძილზე ახლის მივით, ნათელი ზვალინდელი დღისა და უკეთესი მერძისისათვის განვლეთ თქვენი საგალი, ღირსეულად ზიდეთ მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი პედაგოგისა, სინდისიერად ემსახურეთ მცოდნე, განათლებული, ზნებრივად განწმენდილი მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

შრომობდით, იღვწოდით, იხარავებოდით, უანგაროდ, უშურველად, მაღალი ინტელექტითა და შეგნებული პასუხისმგებლობით.

გამორჩეულით პედაგოგიური კოლექტივისადმი გულისხმიერებით და მზრუნველობით. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენგან დამოდვერილი პედაგოგები, მათ შორის თქვენი ვაჟი, ზემო ნატანების საჯარო სკოლის დირექტორი ლამაზ ბოლქვაძე, კვლავ განაგრძობენ თქვენს ტრადიციებს და უკეთესი ზვალინდელი დღის იმედით, მამულიშვილური სიყვარულით აღზრდიან მომავალ თაობებს.

უღრმესი მადლიერების გრძნობით მოგვანლებით, კრძალვით ვხრით თავს თქვენს ესოდენ ლამაზი ნაღვაწის წინაშე; ვინდით მადლობას სიკეთისა და პროფესიის უსაზღვრო სიყვარულისათვის.


იცოცხლეთ დიდხანს თქვენს ლამაზ, პედაგოგიურ ოჯახთან ერთად.

გფარავდეთ უფალი!

უღრმესი პატივისცემით,
როზა გომუზაძე,
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურბაძის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ხსოვნა

გურამ მახარაძე



15 მაისი შენი დაბადების დღეა, გურამ!

16 ტკივილიანი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. რა დრო გასულა... თითქოს გუშინ იყო. ძნელი ყოფილა შენს არყოფნასთან შეგუება, ცრემლიანია შენი გახსენება. ოჯახს დააკლდა მოსიყვარულე მამა, ბაბუა, მეუღლე, მეგობრებს – ერთგული და უღალატო კაცი, საზოგადოებას – ღირსეული და კეთილსინდისიერი მოქალაქე. შენ შენი ცხოვრების მანძილზე უზადოდ დაიხარჯე. ობლობაში გაზრდილმა კაცური ცხოვრებით იცხოვრე. შეპყვლი იყავი ყველა იმ ღირსებით, რომელსაც ადამიანობა ჰქვია... ძნელი არის გაცნობიერება

იმისა, რომ შენს ღირსეულ ოჯახს, რომელსაც სანთელივით ელოდი ვებოდი, აღარ ამშვენებს გურამ მახარაძის პიროვნება.

შენი ცხოვრება შესანიშნავ ნიმუშად დარჩება, თუ როგორ უნდა იცხოვროს, იღვაწოს და დაიხარჯოს კაცმა.


მუშაობდი რა აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ, მთავარ აგრონომად, უანგაროდ ემსახურებოდი რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს. სწორედ ამიტომ იყო რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ სპეციალისტები და იზიარებდნენ თქვენს გამოცდილებას.

62 წლის ასაკში დატოვე წუთისოფელი. აკლიხარ ოჯახს, მაგრამ სიმბოლურია ისიც, რომ 9 აპრილს ამ ქვეყანას მოველინა შენი სახელისა და გვარის გამგრძელებელი პატარა გურამ მახარაძე. გვამდეს შენი შვილები და შვილიშვილები წმინდად შეინახავენ შენს ხსოვნას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

ოჯახი

პაატა კვიციანი



21 მაისს დაბადებიდან 38 წელი შეგისრულდებოდა. 14 წელია უშენოდ ტკივილიანად ვიხდით შენი დაბადების დღეს, ვეფერებით შენს მეტყველ პორტრეტს, გულით ვატარებთ, შენს მარადიულ ხსოვნას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. სანთლებს ვანთებთ და ვლოცულობთ შენთვის.

ნანა, ანზორი გოჩა, დოლიძეები.

ღმობრავილი პრობლემების მოგვარება – უპირველესი საზრუნავი

ქართველი ერი, ქართული საზოგადოება ყოველთვის ამჯობდა თავისი ერთგულობითა და ერთგული კულტურით; ამჯობდა ქართული ოჯახით, რომელიც ყოველთვის ჩვენი იმედი, რწმენა და ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების საფუძველი იყო. საქართველო, რომელიც მუდამ განიცდიდა რუსეთის, თურქეთის, სპარსეთის ოსმალეთის და სხვათა შეპყვებს, სწორედ ასეთმა ოჯახებმა გააძლიერა. რაც ყველაზე მთავარია, ასეთი კულტურული და ერთგული ოჯახები იზრდებოდა რაოდენობრივად, ჩემ თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, ბევრ ოჯახში 6-7-8-9-10 და ზოგჯერ 12 შვილიც კი გაზრდილა. შემდეგ, დროთა ვითარებაში, მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა თანდათან შემცირდა, განსაკუთრებით უკანსკელ წლებში.

სტატისტიკას თუ გადავხედოთ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 40% ღარიბია, ცოტა მეტი კიდევ სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს. ევროპაში და არა მხოლოდ ევროპაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც კი, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მოქალაქეების შემოსავლებს შორის სხვაობა ძალიან დიდია და პროგრესულად იზრდება, რაც თავისთავად, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს ქართული ოჯახების შექმნაზე, ქართული ერის გამრავლებაზე.

როგორც ცნობილია, ადამიანთა დიდი ნაწილი, რომელთა შორის უმეტესობა ახალგაზრდაა, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, გასული ქვეყნიდან. ამის მაგალითად მარტო ჩემი სოფელიც გამოდგება. ბაღეთში, სადაც 370 კომლია 1100 მცხოვრებით, 25%-ზე მეტი დასაოჯახებელია და ზოგიერთი მათგანი სამუშაოდ ხშირად დადის თურქეთში, ზოგიერთები კი წასულები არიან და მუშაობენ ინგლისში, ესპანეთში, უკრაინაში და ა. შ. სხვა მიზეზებთან ერთად, აღნიშნულის


გამოც, საგრძნობლად მცირდება ქართველთა დაოჯახება, რაც, ჩემი აზრით, გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით:

- 1) არ არის სამუშაო ახალგაზრდობისათვის და აუცილებელია მოხდეს მათი დასაქმება, რაც მეტ-ნაკლებად შეეძლებს ქვეყნიდან მოსახლეობის გადინებას;
 - 2) ბევრა ისეთი ახალგაზრდა, რომელიც, ვერო საცხოვრებელი ბინის გამოაკეთო ქორწინების პრობლემა. ამ შემთხვევაში კარგი იქნება თუ მათ გაეწევათ პრაქტიკული დახმარება და გამოყოფათ საცხოვრებელი ფართი ახლის ასაშენებლად, საერთოდ, ოჯახის გასამართლად მეცემთ სპირი თანხა;
 - 3) ქორწინების დროს ორივე მხარეს, როგორც ვაჟისა, ისე ქალისა, მიეცეს ერთდროული დახმარება 5000 ლარი მანც;
 - 4) შეჭირვებულ ოჯახებს დახმარების სახით დეწინიშის ყოველთფურად 100-150 ლარი მანც და როგორც არის ამჟამად, 2-3 ბავშვზე შეუნარჩუნდეს დახმარება, რაც განსაზღვრულია 150 ლარით;
 - 5) ძალზე მწირი დაღვეანდელი პენსია და იგი უნდა გაიზარდოს 250 ლარამდე მანც.
- გარდა ამისა, კარგი იქნება ახალ-ქორწინებულებთან, დასაქორწინებულებსა და საერთოდ ახალგაზრდობასთან მიეწეოს შეხვედრები, წყვასაღისით ისინი, როგორც ფულადი, ისე სხვადასხვა საწმენდით, მეტი ადგილი დაეთმოთ ტელევიზიას და პრესაში. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე რთული პრობლემა მოსახლეობის კლება და ღმობრავილი სიტუაციაა და მისი გაუმჯობესებისათვის ყველაფერს თავგამოვებით უნდა ვიზრუნოთ.

ამირან გაფულაიაშვილი,
სწავლული აგრონომი, შრომის ვეტერანი.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალდინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



ჰენრი კავენდიში (1731-1810). მისი ზოგიერთი აღმოჩენა ნახევარი საუკუნით წინ უსწრებს თავის დროს.


კავენდიში ითვლება პიონერად ადვილად აალებადი აირის გამოყოფისა და გაცნობის საკითხში. მან შეძლო განვეითარებინა გაზების აწონვის საიმედო ტექნოლოგია.

1781 წლისათვის კავენდიშმა აღმოაჩინა, რომ ადვილად აალებადი აირი, შერეული ჟანგბადთან (ატმოსფერული ჰაერი) ორი ერთზე რაოდენობით, ქმნის წყალს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა ელექტრობის

დარგში და დასწრო იმ კანონებს, რომლებიც მოგვიანებით მათი „აღმოჩენების“ – შარლ დე კულონის (1736-1806) და გეორგ ომის (1789-1854), ასევე ნაწილობრივ მაიკლ ფარადეის (1791-1867) დასკვნებს უკავშირდება. მას არ ჰქონია სპეციალური მოწოდება და მისი ექსცენტრული გადახრებიდან გამომდინარე, ზომავედ ელექტრულ მუხტს ელექტროდების ხელში დაჭერითა და ტკივილის ხარისხის საკუთარ თავზე მოსინჯვით, რასაც ელექტრობა იწვევდა. 1798 წელს მან დაასკვნა, რომ დედამიწის ზედაპირით წონა 5,5-ჯერ აღემატება წყლისას – ციფრი, რომელიც იდენტურია დღევანდელ შეფასებასთან.


ჟოზეფ პრისტლი (1733-1804). პრისტლიმ 1774 წელს აღმოაჩინა ჟანგბადი. ქიმიისა და ბიოლოგიის სფეროში ამ აღმოჩენამ დაიკავა მთავარი ადგილი. მაგრამ მის აღმოჩენებს ასევე ეკუთვნის აზოტი, ნახშირის მონოქსიდი, სულფატი, ამიაკი, სილიკონის ტეტრ-



აფლურიდი. **ჯეიმს ვატი** (1736-1819). ვატის მიერ როტორული ძრავის შექმნამ ინდუსტრიაში მექანიზაცია შეიტანა.

1788 წელს ორთქლის ძალა პირველად იქნა გამოყენებული გემის ასამობრავებლად. ამავე წელს ვატმა გამოიგონა „ცენტრიფუგის რეგულატორი“, ძრავის სიჩქარის რეგულირებისა და მისი თანაბარი მუშაობისათვის, რაც მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა ავტომატიზაციისათვის.

ვატს ასევე მიეკუთვნება სხვა



გამომგონებებიც, როგორცაა: უკუმივლელი და წერილების კოპირების პრესი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პირველად ტერმინ „ცხენის ძალის“ დამკვიდრება, როდესაც ის ახდენდა შედარებას თუ რამდენი ცხენი გასწევდა ტვირთის იმ რაოდენობას, რაც მის მანქანას შეეძლო. 1882 წელს ბრიტანულმა ასოციაციამ გამოგონებლის სახელის უკვდავსაყოფად, ძალის ერთეულს „ვატი“ დაარქვა

მოამზადა **ბურამ ცერცვაქმე** (გაგრძელება იქნება)

ბანცხადებები

იყილება: 100-კილოვატიანი ელექტროტრანსფორმატორი თავისი კარალით; ავტომატქანა გაზ-69 (ვილისი 4-კარიანი) ჩამოსაშვლით, გაზის აპარატურით, კარგ მღვობარობაში; 5 და 10-ტონიანი რეზერვუარები, შესადლებელი აპარატი ქარხნული, 4-ბორბლიანი. ტელ. 599 74 04 12; 599 17 54 45 * * *

წულადის ქუჩა №10. შპს „სერვისი“ 2006 აწარმოებს ყველა სახის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს, მაღალი ხარისხით, კვალიფიციური სპეციალისტებით, (მშენებელი, სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, მღებავი). ასევე აკეთებს სადენ-ფექციო ყველა სახის სამუშაოს, კოლოზე, ბაზებზე, ქვეწარმავლებზე, მღრნელებსა და სხვა მანებლებზე, სამუშაოებს ჩაეიტარებთ კვალიფიციურად და ხარისხიანად, გარანტიით, კმაყოფილი დარჩებით, ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით და ნაღდი ანგარიშით, ზელშეურლებით. მისამართი, ოზურგეთი, წულადის ქუჩა №10. მობილური ტელ. 599 74 04 12; 599 17 54 45.

სკანვორდი



									ფეხი გადაღმა											
		სამშაბათი ძველქართულად			პრიზი						მსახიობი ვახტანგ									
				პატარა თევზი																ქალის სახელი
		გამძლე ქსოვილი		ერთგვარი ქული		ყბების სპაზმი														საპორტო ქალაქი იტალიაში
						ტაფა														ბელგიური ნაგავი
																				„მეფისგყოსანის“ ავტორი
																				ყვავილების შეკვრა
																				მდინარე შორეულ აღმოსავლეთში
																				ცხარე საწებელი
																				დროის სამომი
																				მდინარე შორეულ აღმოსავლეთში
																				მსახიობი ღემი
																				სოფელი სამტრედიასში
																				„ნატვრის ხის“ პერსონაჟი
																				ბურუსი
																				ქალაქი თურქმენეთში
																				პროვინცია პაიესტანში
																				ქალის სახელი
																				ჩამონათვალი
																				ჭაობის მცენარე
																				პიჯაკი
																				პატარა საწნახელი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – თენგიზ არჩვაძე; პარლამენტის მუშაობის სეზონი – სესია; მამონტის ხე – ველინგტონი; სვანური მოთქმა – ვიი; პოლონეთის დედაქალაქი – ვარშავა; მამაკაცის სახელი – ესე; საშენი მასალა – აგური; ავანსად ვაჭრობა – ნისია; თანხმობის ანტიპოდი – უარი; საღებავის სახეობა – გუაში; დეკორატიული მცენარე – აგავა; რიცხვი – ორი; უბანი თბილისში – ისანი; გეგანტური გველი – ანაკონდა; კობიტი – ივანი; ლხინი ხევსურეთში – ახალუხალი; ქალის სახელი – ლონდა; ბებიაქალი – ამქელი; მ. ჯავახიშვილის ნაწარმოები – ჩანჩურა; ღორის ცხვირი – ღინგი; მოსხენება – რაპორტი; გამანადგურებელი ქარიშხალი – ტაიფუნი; ჩაცმის სტილი – მოდა; ქათმის ჩამოსაჯდომი საქათმეში – ქანდარა; ჭურის სარეცხი – ოჩხუში; სამაგიდო თამაში – შაში; პროსპერ... – მერიმე; რეპტილია – ნიანგი; ნაცვალსახელი – იგი; ლიტერატურული ნაწარმოები – ესე; კრივის არენა – რინგი; ბნელი ღამე – კუნაპეტი; მამაკაცის სახელი – გენადი; ძაღლის ვიში – დოვი; პომეროსის შედეგები – ილიადა; ძლიერი სიცხე – თაკარა; ბოსტნეული – ოხრაზუში; მოდი გურულად – მოი.

ზინოუხვლელი

მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700000 კაცი გაიყვანა ამათგან 35000 ბრძოლის ველზე დაეცა. პატარა ოზურგეთიდან ფრონტზე 11658 კაცი წავიდა. მათ შორის ნახევარზე მეტი არ დაბრუნებულა მშობლიურ კრას ბეგრით მათგანი უზოუკვლოდ დაიკარგა. არიან ოჯახები, საიდანაც ორი, სამი, ხუთი, და მეტი მძიმად დაბრუნდა და ოჯახს ერთი ან სულაც ვერც ერთი ვერ დაუბრუნდა.

თავდაცვის გენერალ-მაიორი გიორგი ყურაშვილი წიგნში „მთა სისხლით“ ფრონტზე წასული ერთი დღემძიმედების ისტორიები გადმოცემული. სულ ასეთი 60 ოჯახია. რომელთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაეცა. მათ შორის არიან სოფელ ნატანებიდან მძევი გუგუაბიძეები, სოფელ ვაშლიდან მძევი ჩხარტიშვილები და სხვები.

სოფელ ნატანებიდან ექვსი ასულ-გაზრდა გაიწვიეს ფრონტზე მშობლიურ კრას დაუბრუნდა 300.

ნატანებელმა მარიამ და კონსტანტინე გუგუაბიძეებმა სუთ გათქმულს დაულოცეს



გზა დიდ სამშულო ომში. კავკასიის მსაჯულთა იბრძოდა უფროსი ვაჟი გვირგვინი. მისი მოძღვრობა მას ივსისი ყირაში იბრძოდა, შუათან დაეთი მოხალისედ წავიდა, იბრძოდა მოღვაწეობა და შემდეგ უფროსი ტერიტორიაზე მოძღვრობა მას ივანე უკრაინაში, ცხელაზე უმცროსი ვარდნი ლენინგრადის იცავდა. მათი და ქალბატონი ნაზი გუგუაბიძე- მკაყანაძისა იფრეს: „ გადიოდა დღეები, ოჯახი იშვიათად, მაგრამ ლეულოდა თითოეული მათგანისაგან ბარათებს... ეს იყო იმედი რომ ისინი სამშობლოს წინაშე გადმოხდებოდნენ დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ კრას... მაგრამ შეწყდა სამკუთხა ბარათების მიღება. ვერ იეს-ლისაგან, შემდეგ ივანესაგან, ცოტა ხნის შემდეგ ვარდნისაგან, ხოლო უკანასკნელი წერილი დაეთისაგან მივიღეთ, რომ ფაშ-ისტებს ებრძოდა უფროსი ტერიტორიაზე და სახლში მალე დაბრუნდებოდა...“ დამო-აზრდა ომი ოთხი ვაჟიკაც გუგუაბიძე დაეცა ბრძოლის ველზე მხოლოდ გვირგვინი დაუბრუნდა მშობლიურ კრას. 1972 წელს ქალბატონმა ნაზიმ შეძლო მისი საფლავის



მონასტელა უფროსი- ბუდაბეშტში. ნაღვლიანი ისტორია აქვთ ნატანებელ დებს ფაცა და სონია ვობრინიძეებს. სონიას მეუღლე სამხედრო იყო მსახურობდა ვლადიმერ-ოლინსკიში. არაღვლეებზე სონიამ თან წაიყვანა უნცროსი და ფაცა. ფაშისტებმა დები დახვრიტეს მხოლოდ იმედი რომ სონიას მეუღლე სამხედრო პირი იყო.

სოფელ ვაშლიდან ტერენტი ჩხარტიშვილის ოთხი ვაჟი იბრძოდა ფრონტზე უფროსი ვლადიმერი ნენბთან და ბერე-ზინასთან, გმირულად დაეცა ქალაქ იფრეთთან. ირაკლი კიციანი გამაჩინელი მამაკობისათვის საბრძოლო დიპლომით დაავიჯდოვდა, სახლში იწერებოდა: „ვანადგურებ მტერს კიციანი, კარგად ვარ, სარდლობისაგან ვიდელო დავიშასურებ, მძევის აშხები მინ-ტერენტებს“. ამის შემდეგ მისი წერილი არ ჩანს. დაიღუპა კიციანი. კორილე მესამე შვილი იყო. პირველი დღეებისათვის ჩაება იგი ბრძოლაში. საბრძოლო დავალების ხედმიწევნით მსრულებსათვის წითელი

ვარსკვლავის ორდენით დაავიჯდოვდა. დაიღუპა ქალაქ სტარობელსკთან. ქრისტე-ფორე იბრძოდა სტალინგრადთან. საბრძოლო დავალების შესრულებისათვის დაავიჯდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით, დაიღუპა ბელაია კალიტვასთან. ტერენტი ჩხარტიშვილის ოთხი შვილი და ერთი შვილიშვილი დაიღუპა ფრონტზე. მისი შვილიშვილი ვალიკო (ვალერიანი) სკოლის დამაგრების შემდეგ გაიწვიეს ფრონტზე იბრძოდა სტალინგრადთან, ზაპოროჟიისთან კრივი როგსა, ჩერნოვიცთან, ლვოვთან, ვარშავასთან, კენისბურგთან და ბერლინთან. ბერლინის შტურმის დროს გმირულად დაეცა.

შინძოუსვლელთა შორის არის ოზურგეთელი თენგიზ სალუქაძე. ახლაც 70 წლის შემდეგ მისი თვალცერმლოანი და თინა სალუქაძე იფრეს: „ ჩვენს ოჯახში ერთი მძიმე იბრძოდა, 1944 წელს დაამთავრა მასარაბის საფრთხილი სკოლა და იმეცე წელს 19 წლის გაიწვიეს ფრონტზე. ამონარიდი მისი ფრონტული ბარათიდან

დათარიღებული 1944 წლის 19 ნოემბრით: „ თეირფასო მშობლებო ვისურვებთ განძირულობასა და კარგად ყოფნას, ვარ ლევიის მახლობლად ქალაქ სტრეში, აქედან გვიშეგუნ 30 კილომეტრით დამორბეულ ქალაქ სამორში, იქედან ჩეხოსლავაკაში გაგვეზავინ ალბათ, ამა შენ იცი დედა, ყვე-ლაზე უფრო შენ გეხვეწები ჩემზე არ იდარ-ლო, გულს არ გააკარო, თითქოს სამსახურში ვიყო. მოკითხვა ყველას“. ვინა სალუქაძე უზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. მშობლებს მისი დღეების შესახებ ცნობა არ მიუღიათ. პენსიის დანიშნაზე უარი განუცხ-ადეს სამხედრო კომისარატის წარმომადგენ-ლებს. შინძოუსვლელებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ. ვფიქრობთ, მათი სიები განვათავსოთ მეხუთეში მეორე მსოფლიო ომის საექსპოზიციო დარბაზში.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის ისტორიული მეხუთეში მთავარი მცველი

გურული ზირაღების ცხოვრებიდან

მძლავრობა ავაზაკებისა და კომიტეტისა

დასაწყისი ალიონი №13-19)

მეხმარე ბოგუაძე

აერთიანებდნენ თავიანთ „კაცისმ-კვლელთა ორდენში“, სწორ გზებსა და მიმართულებებს აძლევდნენ კაცთა კლასსა და სისხლთა თხევსი საქმეში. „ურჩის“ და საკუთარი გეზით მავალ „მოჯანყე მამუხე-რისტს“ ვერ გამოსწორების საშუალებას მისცემდნენ, პარტიული დისციპლინის არ-ტახებში გასაღებდნენ,

ყოველ გასროლილ ტყვიას შუ-მოწმებდნენ, პარტიისა და კომიტეტის ნების გარეშე განსაკუთრებულ ყოველგვარ ქმედ-ბას დანაშაულად ჩაუთვლიდნენ, ბედნიერი გამოჩაგვისის სახით ერთ-ორგვარ განსა-კუთრებული ნიჭით კაცთა კლასში დაევი-ლიდებულსა და სისატიკეში შეუდარებ-ელს შეუწოდებდნენ და აპატიებდნენ, ხოლო შემდგომ თუ შერდობა და პატიება არ გასჭრიდა და „კედელზე ცერკვის შეყრის“ ტოლფასი აღმოჩნდებოდა, ბევრს ადარ დახანებდნენ და სამარეს გაუთხრიდნენ. „დიდნიშნელოვანი“ ტერიორისტული აქტის გასამძვროსაც იღებდა. რაც გარკვეულ წამახალისებელ როლში გამოდიოდა, რის შემდგომაც ტერიორისტი ახალ-ახალ „საფეოლო საქმეს“ ელოდა, და ერთი სული ჰქონდა კომიტეტის დასტ-უიით რომელ კლასობრივ მოქმედებს მოუ-წრავებდა სიცოცხლეს.

1908 წლის ანგარში გამართულ „გურულითა საქმის“ სასამართლო პროცე-სის საბრალდებო დასკვნაში, რომელიც ფა-ქტურად ოზურგეთის მაზრის უფროსად მამოფ, ტერიორისტთაგან შინაგან ლაზ-არეკოს ინფორმაციაზე დაფუძნებული კვითხულობით: „გურიის კომიტეტს ჰყავდა სამხედრო შტაბი, შტაბს ექვემდებარებოდა სამხედრო ძალები, სამხედრო შტაბი მოთ-ავსებული იყო ქალაქ ოზურგეთში, ნოე ჩიგოგიძის საცხოვრებელ სახლში. აქვე ინახებოდა იარაღი. შტაბი განაგებდა ტერ-ორისტების ვაგუფს, რომელიც ასრულებდა კომიტეტის გადაწყვეტილებას, ამისათვის ვაგუფის წევრებს განსაკუთრებული გასამ-რავლო ეძლეოდა. კომიტეტის შტაბის გადაწყვეტილებით გურიიდან მებრძოლი ძალები იგზავნებოდნენ ქუთაისსა და თბი-ლისის ვუბერნიებში რევოლუციური მოძ-რაობის გასაძლიერებლად. საჭირო შემთხ-ვევაში ან განსაკუთრებული ტერიორისტუ-ლი აქტის მოსახდენად თუ შესასრულ-ებლად გურიის კომიტეტი გასცემდა ტერ-ორისტის სახელზე კომიტეტის მიერ ბე-

ჭველ დარტყმულ ქალაქის ნაგლეჯს, რომელსაც „ავაკა“ ეწოდებოდა. „ავაკას“ დამანგრეველი მუხტის ძალა გააჩნდა. „ავაკიანი“ ტერიორისტის ძალაუფლება განუსაზღვრელი იყო, „ავაკიანი“ ტერიორ-ისტს ტერიორისტული აქტის განხორც-ილებში ვერავინ შეაჩერებდა. ტერიორ-ანიშნულის სამარე საშუალოდ გათხრილი იყო. ტერიორ დანიშნულს კომიტეტის მიერ „დროულად ვიწვე მთავანის მიხნით წინასწარ ეგზავნებოდა „სიკვდილის უწყე-ბა“-განსაკუთრებულ მოსაწყვეცს თუ საიქ-იოში გასაწყვეც ბარათზე დახატული კუბო, თოფი და ხანჯალი. რაც უკანასკნელი გამაფრთხილებელი იქნებოდა მისთვის. თუ „გამოსწორდებოდა“ და კომიტეტის მოთხ-ოვნას შეასრულებდა ხომ კარგი. თუ არა და თოფით ან ხანჯლით გულგანგმორული, „სიკვდილის კონახში“ განკარგვას“ ვერ ასცდებოდა. ხანჯლიან-თოფიან-კუბოიანი „სასიკვდილო უწყება“ შიშის ზარსა და სასიკვდილო ძროწოლას გვირგვინი ნებისმი-ერ ადრესატს. „უწყების“ მიმღები ზოგჯერ მისი წაკითხვისთანავე განუტყვებდა სულს ისე, რომ „გამოსასწორებელი ვადა“ არც კი ჰქონდა განვლილი და განსაზღვრული. ცნობილი რევოლუციონერი, სოფელ დვანში მკვიდრი, ლეკა ონისიძეს ბე დაუბრუნა, რომელსაც მშენიერად ხელწუ-ფებოდა მამუხერის მარჯველ ხმარება, მო-გვითხრობს: ოზურგეთის საზოგადოებამ დვანში მამასხლისი ნიკო თავდგარიძეს ჩააბარა ხალხზედ დასარბილებელი ტანსაც-მელი, რომელიც მან ნაცვლად ხალხისად-მი დარიგებისა, გაყიდა ნასათიბვარში არსე-ბულ ლუქანში, რის გამოც მდინარე ნატანების ხევის გასწვრის (მდებარე მყე-დრო ადგილი) მტერში შევიკრიბნეთ ოცი კაცი. კრებას თავმჯდომარეობდა ლადიკო რუსიშვილი. კრების გადაწყვეტილებით ერთმე დღეობდა, რომელმაც იცოდა მარ-ცხენა ხელით წერა, დაეაწერინეთ მუქარის წერილი, დაეხატეთ ამ წერილში კუბო და თოფი, რაც ნიშნავდა იმას, რომ ის პირი რომელიც მიიღებდა ასეთ წერილს, მის მიმართ ხალხის მიერ გადაწყვეტილი იყო სიკვდილი. ასეთი წერილები ვაგუფზედ მძევის თავმათულებს და სხვებს. სიკვ-დილის მაუწყებელი „წერილების გაგზავნა კომიტეტის ძირითად ხელწერას წარმოად-გენდა. იგი მოქმედებდა და ძალაში შედ-იოდა სამაზრო ტერიტორიის ყველა მონა-

კეთში, ყველგან და ყოველთვის, სადაც ამას აუცილებლობიდან გამოძინარე საჭიროება მოითხოვდა. ტერიორისტულ აქტე-ბში ხელგაწაფული მიქელ-გაბრიელის მკვიდრი, ონიფრე კეჭეცმძე, რომლის მაუხე-რიდან გასროლილი თითოეული ტყვია „მიქელ-გაბრიელთან“ ისტუმრებდა ტერო-რდანიშნულს, აღნიშნავს:

„ჩვენი თემიდან მირიან ხომერიკმა ტერიორისტული აქტი მოახდინა დათა გუ-რულზე მოკლა გურული, რომელიც მიღე გურიას გადასახლებით ემუქრებოდა. ასეთმა აქტმა შიშის ზარი დასცა მემ-მულებსა და სამღვდლოებს და მათთან შემწნულ წერილ ვაშუშებს (ამ კლასი-ბრივ მტერებს) დამთ წერილებს ვუყრი-დით ოჯახებში, რომლებზედაც კუბოები იყო გამოხატული. ასეთი წერილები სამი-ნელი მდგომარეობაში აყენებდა ვაშუშს.“

როგორც ხემათ მეთუთითი ზო-გიეთი ასეთი დასურათსატებული წერილი ტყვიან უფრო სწრაფად მოქმედებდა და ადვილზედ აღწევდა მიზანს. 1903 წლის 26 ივლისს ქ. თბილისში „დიდების ვაჭარმა გიორგი მათაშვილმა კომიტეტისაგან „მოკრძალებით აღსავსე“ ბარათი მიიღო, სწერდნენ: ფული მოაშავე და გამოგზავნე თორემ სიცოცხლეს გამოგასაღწებთო. ბარათზე მათაშვილის შესამინებლად კუბო (და ხანჯალი) იყო გამოხატული. წერილის ნახვით განცდილი შიშისაგან ... მათაშვილი წაიქცა, გული გაუქცა და იქვე გარდაიცვალა. როგორც გადამოგვეცხ მათაშვილის ამას წინადაც მოუღია (ასეთივე) შინაარსის წერილი კომიტეტისგან და გადაუცია (წერილის) მომბან უცნობისათვის 600 თუმანი.

„კუბოთა ვარაყმა“ ტვიფრული წერ-ილები, რასაც ალბათ ხელნაწერში საინ-ტერესოდ გაწაფული კომიტეტის კალიგრა-ფოსანი ასურათსატებდა, მრავლად იწერე-ბოდა შესაბამისი მხატვრობით ქვეყნის ყველა კუთხეში. მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და მებრანდნ და „მეფრე-ბულ“ სოფლებში. რევოლუციის პირველი რანდის, ვალოდა გოგუაძის მოგონებაში კვითხულობით: „ბაქის ქალაქის ცენტრში ცხოვრობდა ერთი ებრაელი ვეაზად შნი-რონი. მან ცოტაოდენი სიმდიდრე შეიძინა, მაგრამ შემდეგ ისე გაღარიბდა. ის აჯად იყო (თორმელების) სწეულებით. მის ცოლს უკანასკნელი ავეცი გაეყვინა და



გენერალი ალიხანოვ-ავარსკი

მიღო 800 მანეთი. შირინის ძმისწულს ავაზაკებისათვის უცნობება ეს ამავე შინინისათვის წერილი მოუწერიათ და ფულს სთხოვდნენ. წერილი სავეე იყო მუქარით: ან ფული ან სულიო“ წერილში დახატული იყო კუბო, ხანჯალი და ბომბა... (მასხოვს) ერთხელ ჩვენს შტაბში მოვიდა წერილით ასონ ვალაღანია, წერილი გაგ-ზავნილი იყო ახალი ვაგუფის ჩლიშტების მიერ ერთი გერმანელი ქერივის მიმართ. წერილი სავეე იყო მუქარით. აქაც დახატ-ული იყო კუბო, ხანჯალი და ბომბი.

კომიტეტის ხელოვან კალიგრაფოსთა მიერ დასურათებული „კუბოიანი წერ-ილები“, მსგავსად ჰასან საბაძის მიერ აღამეთის ციხე-სიმაგრეში ფუქედებულ ასანთთა ორდენის მელდების მუქარისა, არღვევდა ციხე-სიმაგრეთა მკვიდრად ნაგებ კედლებს, სასახლეთა კარიბჭეებს, პნელე-ით მოცულ საგანებსა და კაზამეტებში, „სმერტნიკთა“ შიშისა და ძროწოლის და შიშის მომგვრელ დილეგებში, და ყველგან წარმატებულ შედეგებს აღწევდა. პროფე-სიონალი რევოლუციონერი, შემდგომში ცნობილი საბჭოთა მხედართუფროსი „37“-ის სისხლთა თხევსი სასიკვდილოდ დაღმამხელი მოგვითხრობს: ქუთაისის ციხეში „ცნობილი სერგლის გაცვანა აფშილაგას უფროსობის ხანაში მოხდა, მას შემდეგ აფშილაგამ ყოველ წესსა და განონს გადააჭარბა. შემოიღო ვერ არანსე-ული წესები, აკრძალა ერთი თვით ცხელი საჭმელი, ნახვის ნება და სეირნობა, რის გამოც მან მრავალჯელ მიიღო უსახელო წერილები გაფრთხილების მიხნით, მაგრამ



გუგუაბიძე-სტაროსელსკი


არ შემინდა, ერთხელ წერილზე დახატული კუბოც მიართეს. არც ამხე გამახვილა ყურადღება, ერთხელ აფშილაგა ქუთაისის გუბერნატორთან მოხსენების გასაკეთ-ებლად მიდიოდა. (გუბერნატორამდე ვეღარ მიაღწია) რადენიმე ტყვიით მოკლა ანარქისტმა კოლია ბრეგვაძე.

გაქტერინე გაბაშვილის ვაჟი, „ბურჯი და ბარასტნი“ ფედერალის პარტიისა, გადამოგვეცემს: „ამიდანამდე, მუსიკის მსაწავლებელმა მამო ყოფიანსამ გადმოძ-ცა წერილი (შემდეგი შინაარსისა). „ქალ-ბატონო, თუ დღეს სუთ საათზედ სუთი ათასი მანეთი არ ჩავიბარებათ, კომიტეტის დადგენილებით, სიკვდილით დასჯილი იქნებით“. (ამ წინადადების ქვეშ) როგორც მოდა იყო კუბო და გადაავარდინებული ტყვები. (დაღმამხელი) რაღაც ბუნდოვანი ბეჭედი.

(ჩემი კატეგორიული უარის გამო საბრალო ქალებს ფულის შეგროვება არც დაუწყოთ, და არც ჩაუბარებიათ) წერილის ავტორები მამო ყოფიანის ოჯახს მიადგენ. „სუთი შეიარაღებული კაცი იყო... ორნი შემოვიდნენ... სამნი გარეთ უცდიდნენ... საქმე გვაქვს მარიამ გაბაშვილთან, ჩვენ წითელრანხელები ვართ სიცაილ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტებიდან. შტაბმა გამოგვზავნა, ერთი მათთგანი ხელსახოცში შეხვეულ რაღაც მრგვალ საგანს დემონსტრაციულად ხელიდან ხელში ავიგმანებდა. ზედა სართულში კი ექვსი ქალი გულგახეთქით ელოდა ბომბის გაავარდნას.“

ერთი ნახვით უმჯობარება, ანუ ანტიგონე ოზურგეთში ცხოვრობს

თეატრის მარშანდი



ოზურგეთის თეატრის მცირე დარბაზში, ვიწრო სცენაზე ფან ანუის „ანტიგონეს“ შექმნა, ან მთლიან დროს არ უნდა იყო, ან კიდევ „ანტიგონეს“ გარეშე შენს შემოქმედებით ცხოვრებას აზრი არ უნდა ჰქონდეს. ამას მხოლოდ დამდეგელი რეჟისორის, თეატრის სამსახურის ხელმძღვანელის ვასო ჩიგოგიძის გასაგონად არ ვამბობ, ჩემი თვალთახედვით, დღეს მთელი თეატრალური დასი ასეთ დღეშია.

პირველად „ანტიგონე“ სტუდენტობის წლებში ენაზე, თბილისში რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ზინაიდა კვერციანიძის შესრულებით, მეორედ კი – 63 წლის და ერთი დღის ასაკში, ოზურგეთში, 2015 წლის 29 აპრილს, კ. ოზურგეთის ალ. წულუკიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრში, თამარ მდინარაძის შესრულებით, ორივემ პრემიერაზე პირველის ნახვის

შემდეგ, კი ხანს ვტრანსპორტირებდი, რომ იმ 20 თუ 25 კაცს შორის მოგზავნიდი, ვისაც წინადადება ჰქონდა, ყოველივე პრემიერის მონაწილე მხარეებში გამომჩინა სატრანსპორტო და სასამართლო, რომ ოზურგეთელებს ჩვენი ანტიგონე გვეყვას, თბილისელი სტუდენტები (ისე, ქალბატონი ზინაიდას ფესვები ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხორეთში) ასოლოგურად განსხვავებული, მაგრამ თბილისელზე არანაკლები არც ერთ კომპონენტში.

ერთსანს არავფერს ვამბობდი, ნათესაობით არ გამოიძვირეს-მეთქი, მაგრამ, რადგან ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში არ გამწვანებია ინტერესი, გადავწყვიტე, რაღაცნაირად რომ დავცლილიყავი, თანმიმდევრებით ერთი პატარა ვორდის ფაილში მომეყვია ამხელა შთაბეჭდილებები:

თამარ მდინარაძემ ანუ თეთრმა ანტიგონემ ანუის მთავარ პერსონაჟს სხვა სული შთაბერა - უსაზღვროდ მტკიცე და განუზომლად მშვენიერი. კი, თამარი ახლა თავისი შემოქმედების ზეიშვით, საიდანაც შესაძლებელია, პერსონაჟითა და პანორამა იმყოფებოდეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, იგი უკეთეს ვერ შექმნის.

მეორეული ვარ, იგი უკეთეს ვერ შექმნის ერთადერთი მიზეზის გამო - უკეთესი არ არსებობს! ჩემი აზრით, თამარამ ამ როლით მარად გაუზუნარი ფურცელი შემატა ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიას.

რომ არა ალექსანდრე ლომიძის კრიტიკა, თამარ მდინარაძის ანტიგონეს ბეჭედი რამდენად რასაკვირველია, ალექსანდრეს არც თავისი გმირისთვის დაუკლია ხელი, შეიძლება ითქვას, ნატურალური კრიტიკა გამოიხატა, რომელიც სამეფოს შესანარჩუნებლად არავის ინდობს, მათ შორის ნადირთა საგვიგნად დაღვებული გარდაცვლილი მძის ცხედრის გამპატონებულ ანტიგონესაც.

გიორგი დოლიძე ცვლად სექტაკლში გვიმტკიცებს, რომ სცენაზე ადამიანური ემოციების გამოხატვაში არ ჰყავს ბადალი. არა მგონია, ვინმემ გულგრილად გაატაროს მისი ჰუმანი.

შესანიშნავად მოიგო ქორის როლი ახალგაზრდა მსახიობმა ლევან სალიანამ. მე ლევანის ღირსეულის ფრაგმენტებიც მინასავს გენ

ერალურ რეპერტივარზე, თავი ვეღარ შემოკავებია და „არავის“ შესახებ შემივხატებია იგი.

მარი ხანთაძემ ისე განასახიერა კრიონტის პატი, ეს როლი რომ ახლა გაკანტური იყოს და მის შესრულებაზე გაცილებით მაღალი რანგის მსახიობები აცხადებდნენ პრეტენზიას, დარწმუნებული ვარ, რეჟისორი მინიმუმ ახალგაზრდა მსახიობს დააღებდა ხელს.

მე კი არა, ალბათ, ცვლადზე კრიტიკული თეატრმცოდნეებიც ვერ მოუხებინან ნაკლს საქართველოს დამსახურებული არტისტის ზაირა თოთბაძის ვერდიქტს და ბელა კიკვაძის ბიძას, ამ, ერთი შეხედვით, ებნოლოგ როლებშიც იგრძნობა მათი პროფესიონალიზმი, შესრულების აკადემიური დონე.

თუ ჩემსას ისმენენ, მშვენიერია მშვენიერი შორენა გვეტახის ისმენე. მცველთა დასამსახურებელი სახეები შექმნეს გენალი ნიკოლა-იშვილმა (ფონა), ივანე ჩხაიძემ (ათისთავი ბუღურა), ზაზა ჯინჭარაძემ (დრანი), ვახტანგ ჩხარტიშვილმა (მაცნე).

სექტაკლში ასევე დამეპყრებო

ლოა სტუდენტები - გამარჯვებული გამარჯვებული, ვაჟა აბრამიშვილი, ცოტნე მურცხვალაძე.

სასწაული მოახდინა მსაჯვარმა ვაი გვირამ, რომელმაც მარტივი დეკორაციით სცენაზე კრიონტის ეპიქსისთვის დამასასიათებელი შტრიხები დაღო.

ვოვა მახარებდაც ზუსტად მთავარი მუსიკა რეჟისორის ჩანაფიქრსა და სცენაზე მსახიობების ქმედებას.

როგორც ყოველთვის, დინამიური და გრაციული იყო მარიკა ქვეთიას ქორეოგრაფია.

მოკლედ, 29 აპრილს ოზურგეთის თეატრის მცირე დარბაზის პატარა სცენაზე ისეთი პრემიერა შედგა, რომ ოზურგეთელებს ანტიგონე ერთი ნახვით შეუცვრდა, ანტიგონესად უფროს ოზურგეთი და ოზურგეთელები. მეტიც, თუ დამოუკიდებელი, ანტიგონე უკვე ოზურგეთში დამკვიდრდა, ანტიგონე ოზურგეთში ცხოვრობს. შემბოღია მისამართიც ვითხარათ: ჭავჭავაძის №1, ალ. წულუკიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

მოგაპვლის უამოქმედოა ესეების ეპო

სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის (გამგე ქალბატონი ნათელა ვამალაძე) მიერ დაგეგმილი, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებთა კვარტლის ექვ ვერაც არ განელებულა. ჩვენი აზრით, კვარტლის ერთ-ერთი გამორჩეული აქტივობა გახლდათ ესეების კონკურსი „ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი ღირსებათაგანია ადამიანისა“ (აკაკი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 36-მა მოსწავლემ.

გთავაზობთ ამონარიდებს საკონკურსო ესეებიდან და გამარჯვებული ესეების შემოკლებულ ვარიანტებს.

ამონარიდები საკონკურსო მსამბიდან:

VII კლასი - „შეიძლება ადამიანებს ვატყინო გული, მაგრამ მე მათ ვუბნებუ - ბოდიშ!“

„ბოდიშის მოხდა არც ისე იოლია, მით უბეტეს მამინ, თუ გულწრფელია.“

„ბოდიშის მოხდა თავმდაბლობის ნიშანია.“

„ყველას უნდა შეეძლოს ბოდიშის მოხდა.“

ბოდიშის მოხდის შემდეგ ადამიანი სულიერად ლამაზდება, მშვიდება.“

VIII კლასი - ბოდიშის მოხდა ერთგვარი გათავისუფლებაა ჩაღვნილი საქციელისგან.“

„ბოდიშის თქმა ის სათქმელია, რაც გაწუხებს.“

„აზრი არა აქვს სხვისი დავალებით ნათქვამ ბოდიშს.“

„თავმდაბალი ადამიანი ყოველთვის იხდის ბოდიშს, როცა საჭიროა.“

„არავის უნდა სჭირდებოდეს ბოდიშის მოხდა.“

„ბოდიში გულიდან და სულიდან უნდა მოდიოდეს.“

IX კლასი - „ბოდიშის მოხდა უზარმაზარი ტვირთია, რომელიც უნდა მოიხსნა.“

„მე მომიხდა ბოდიში, მაგრამ არ გამიცნობიერებია, დღეიდან გაგაცნობიერებ.“

„ბოდიში დიდი ცნებაა, რომელიც ადამიანს უბიძგებს უკან დაიხიოს.“

ბოდიშის მოხდა ადამიანს მიტევებასა და მშვიდობას ასწავლის.“

ბოდიშის მოხდა რთულია, მე მას აღსარებას შევადარებ.“

X კლასი - „ჩემი აზრით, ყველამ უნდა გაბედოს ბოდიშის მოხდა.“

„ბოდიში მეხმარება იმაში, ჩემს თავთან მართალი ვიყო.“

„ვისაც ბოდიშის მოხდა არ შეუძლია, ის სულიერად დაბალ საფეხურზე დგას.“

„ბოდიში - ამ სიტყვის არსი ფიქრის შემდეგ მივხვდი.“

„სიამავე ხელს გვიშლის ბოდიშის თქმაში.“

XI კლასი - „მე ბოდიშს ვინდობ ბოდიშისთვის და პატიებისთვის.“

„დიდი ნიჭია, მიხედვით რომ ბოდიში მოიხადო, პატიება თხოვო.“

„მნიშვნელობა არ აქვს მიიღებ თუ არა შენს ბოდიშს, მთავარია თქვა.“

„ბოდიშის მოხდის შემდეგ ყველაფერი იცვლება.“

„ბოდიში ადამიანს თავისუფალს ხდის, ეს მონანიებაა ჩაღვნილი საქციელისა.“

XX

„შენებულად თქული ერთი

ბოდიში საცხებით ცვლის ადამიანს“ (გ. სიმონიშვილი).

„რატომ გვიჭირს ჩვენი შეცდომების აღიარება, პასუხისმგებ ბოდიშით...“ (დ. ნიკოლაიშვილი).

„ბოდიშის მოხდა რომ არ არსებობდეს, ქვეყანას სიბურველი დაეპატონებოდა (ლ. მენაძე);

„ბოდიშის ბოდიშის მოხდა, რადგან მე ვერ არ ვარ პიროვნება“ (მ. ჰემსუი).

„ადამიანებს ბოდიშის მოხდა სირცხვილად მიანიჭა“ (ნ. ზურაბიშვილი).

ადამიანს შინაგანად უნდა გაუწილეს სურვილი, ბოდიში მოიხადოს (ი. შილაკაძე).

„ბოდიშით ადამიანი თავის საქციელს ასწორებს (დ. გვარჯავაძე).

„ზოგს ჰგონია, ბოდიში არავფერს შეეღობს, არა, ის ყველაფერის წამალია“ (ნ. გორგაძე).

„ბოდიშს ვეღონსური ძალა აქვს, ის ღირსების საკითხია“ (დ. გორგაძე).

„ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა ადამიანისა“ (ნ. ვინჭარაძე).

„ბოდიში ძალადობის გარეშე აგვარებს კონფლიქტს“ (კ. სურგულაძე).

XXX

ადამიანი ინდივიდუალური არსებაა და ინდივიდუალურად ვითარდება. პრინციპები და უპრინციპობა, შეცდომები და ზნობრივი ქმედებანი, მანიკერები თანამდევნი პროცესებია მისევე ცხოვრებისა.

მხოლოდ მე ღმერთი იყო ის, ვინც ოცდაცამეტწლიანი ცხოვრება შეცდომათა გარეშე გაიარა. მიწერილი ადამიანი ზანდასან ოცდაცამეტ წამში ოცდაცამეტ შეცდომასაც კი უშვებს. ადამიანის მოვალეობა ზომ პირველ კაცადე ამდობება. ეს კი იმ გზის გავლაში მდგომარეობს, რომელზედაც დღითი დღე უფრო მეტ შეცდომას უშვებს და მისი მანიკერებებიც ყოველდღიურად



იზრდება, როგორ შეიძლება ამდღელეს ადამიანი? პასუხი მარტივია, არსებობს დიდი სიტყვა ბოდიშის სახით. სიტყვა, რომელიც მგზნებარე კაცებრივ ცხოვრებას საოცრად ამშვიდებს. როგორც აკაკი იტყვოდა - „ბოდიშის მოხდა მართლაც ერთ-ერთი ღირსებათაგანია ადამიანისა“.

ჩვენს შეცდომებზე ვერავინ აგებს პასუხს. პასუხისმგებ კი ბოდიშის მოხდაში მდგომარეობს, ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სიტყვაში, რომლის გამოთქმაც ასე ძლიერ უჭირს ადამიანს, მანც რატომ ხდება ეს? რატომ გვიჭირს ჩვენი შეცდომების აღიარება და პასუხისმგება ბოდიშის სახით? ალბათ ამამა მისი სიღადის არსი. იგი მხოლოდ სულიერად და ზნობრივად გაწონასწორებულია სვედრად და ცოდვილი ადამიანის პირდაპირი მოვალეობა. იგი სირცხვილი არაა, როგორცადაც ბეჭედი მიიწვევს, არამედ იგი სიმადლეა, სულიერი სიმადლე და, ალბათ, ნიჭიც. ნიჭი საკუთარი შეცდომების აღიარებისა და პატიების თხოვნისა.

დავით ნიკოლაიშვილი

XI კლასი

XXX

რა არის და რას განსაზღვრავს ცნება ბოდიში? თითქოს უბრალო სამმარცვლიანი სიტყვაა, მაგრამ სინამდვილეში მასში დიდი აზრი და შინაარსი დგას.

ბოდიში რომ წარმოთქვა, საჭიროა დიდი ძალისხმევა და გავლა იმ რთული გზისა, რასაც



პიროვნებად ჩამოყალიბება ჰქვია. ამ გზაზე კი უნდა გათავისუფლდე სიამაყისა და ამპარტყენებისგან. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია წარმოთქვა გულწრფელი ბოდიში, რითაც სულ სხვა ადამიანი ხდები, შინაგან სამყაროში თითქოს ყველაფერი იცვლება და აღარ გაწუხებს ის სამწიფო გრძობა, რასაც სინდისის ქვეშა ჰქვია.

ბოდიში სუფთა სული და ღირსებაა. ის რომ არ არსებობდეს, სამყაროს ბოროტება და შურისძიების სურვილი წალკავდა და აღარ იარსებდა ყველაზე დიდი ნიჭი ნიჭი შენდობისა.

მე შემიძლია თუ არა ბოდიშის მოხდა და მიტევება? ვადაიარებ, მიჭირს ბოდიშის მოხდა, უფრო მეადვილება, ვაპატიო. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ვერ სრულყოფილი პიროვნება არ ვარ. ეს ასაკთან ერთად მოდის, ასაკთან ერთად თავისუფლდება ადამიანიც, რომლისთვისაც ბოდიშის თქმა და მიტევება უფრო ადვილია. ახლა კი იმითმე ვაპატიო სხვებს, მეც რომ მაპატიონ ჩემი შეცდომები.

დაფიქრდი და მივხვდი რომ „ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი ღირსებათაგანია ადამიანისა.“

ბოდიში

მარიამ ავაგომოი

IX კლასი

XXX

ბოდიშის მოხდა ადამიანის ღირსებაა, სინანულის გრძობა, სინდისის ქვეშა, რომელიც ჩემი



აზრით, სინანულის ტოლფასია, მაგრამ გააჩნია მას მხოლოდ სიტყვებით წარმოთქვამ თუ სულიერადც გრძობ. ბოდიში სულიერი მდგომარეობის გამოხატვაა. თუ ბოდიშს იხდი, ეი, რადაცაზე გული გტყვია და გსურს, რომ ეს გამოასწორო, გაწუხებს ის სამწიფო გრძობა, რასაც სინდისის ქვეშა ჰქვია.

ბოდიში სუფთა სული და ღირსებაა. ის რომ არ არსებობდეს, სამყაროს ბოროტება და შურისძიების სურვილი წალკავდა და აღარ იარსებდა ყველაზე დიდი ნიჭი ნიჭი შენდობისა.

მე შემიძლია თუ არა ბოდიშის მოხდა და მიტევება? ვადაიარებ, მიჭირს ბოდიშის მოხდა, უფრო მეადვილება, ვაპატიო. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ვერ სრულყოფილი პიროვნება არ ვარ. ეს ასაკთან ერთად მოდის, ასაკთან ერთად თავისუფლდება ადამიანიც, რომლისთვისაც ბოდიშის თქმა და მიტევება უფრო ადვილია. ახლა კი იმითმე ვაპატიო სხვებს, მეც რომ მაპატიონ ჩემი შეცდომები.

დაფიქრდი და მივხვდი რომ „ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი ღირსებათაგანია ადამიანისა.“

ბოდიში

მარიამ ავაგომოი

IX კლასი

XXX

ბოდიშის მოხდა ადამიანის ღირსებაა, სინანულის გრძობა, სინდისის ქვეშა, რომელიც ჩემი

ბოდიშის მოხდა ადამიანის ღირსებაა, სინანულის გრძობა, სინდისის ქვეშა, რომელიც ჩემი

მარიამ ავაგომოი

XI კლასი

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +15+22 18 მაისი ორშაბათი	მზე, +16+25 19 მაისი სამშაბათი	მზე, +20+28 20 მაისი ოთხშაბათი	მზე, +19+27 21 მაისი ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი +18+26 22 მაისი პარასკევი	მზე, ღრუბელი +17+25 23 მაისი შაბათი	წვიმა +17+21 24 მაისი კვირა
--	-----------------------------------	-----------------------------------	-----------------------------------	---	--	--------------------------------